გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
კვირა, 15 მაისი, 2005 წელი.
№114 (5147)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუ ილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა ჟურნალისტისათვის უსამარცხოა.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

მელას რაც ელანდებოდაო...

## ერთს რომ ერთი მივუმატოთ, რამდენია, ბაჭია?

### რა ენატრებოდა და ენატრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს გიორგი მელაძეს?




– ერთს რომ ერთი მივუმატოთ, რამდენია, ბაჭია? – არ დაიბნა ბაჭია, ორი ყური ასწია.

გეხსომებათ ეს კარგი საბავშვო ლექსი.

არც გიორგი მელაძე დაიბნა და...

თუმცა მანამდე ერთი გადახვევა:

– ორი ორთქლმავალი უფრო ძლიერია თუ ერთი? – ეს შეკითხვაც გეხსომებათ, „ჭკუისკოლოფას“ რომ დაუსვეს თანაკლასელებმა „ღიმილის ბიჭებში“.

– გააჩნია, რა შემთხვევაშიო, – უფრო მათ გასაბრაზებლად დაახეთქა „ჭკუისკოლოფამ“ და თავ-პირის მტვრევით გაქუსლა გამონთებულთაგან თავის დასახსნელად.

აი, გიორგი მელაძე კი არვის გაქცევია. ჯერჯერობით ისევ მშვიდად ზის თავის სავარძელში.

თანაც, როგორც მოგახსენეთ, ბაჭიასი არ იყოს, არც დაბნეულა და, არც – გააჩნია, რა შემთხვევაშიო, – დაუმატებია.

– კი, მაგრამ რა ჰკითხეს ისეთი, რომ უნდა დაბნეულიყო, ან გაქცეულიყოო, – იკითხავს ალბათ ამდენი გადახვევ-გადმოხვევით და ქარაგმით გაბეზრებული მკითხველი.

მოგახსენებთ, ბატონო.

ვინც ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული წერილი წაიკითხა („გარიგება კორუფციასთან“), მისთვის ყველაფერი, ვფიქრობ, ნათელი იქნება. სხვებს კი მოკლედ გავაცნობ საქმის არსს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამოაცხადა კონკურსი, რომელსაც უნდა შეერჩია გაზეთი, ყველაზე იაფად რომ გამოაქვეყნებდა საბიუჯეტო ორგანიზაციათა სატენდერო განცხადებებს. ანუ ვინც ყველაზე ნაკლებ ფასს დაადებდა საკუთარ საგაზეთო ფართობის თითოეულ კვადრატულ სანტიმეტრს, ის გაიმარჯვებდა. შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრებიც დაიზოგებოდა, რაც, გიორგი მელაძის თქმით, მთავარი პირობა იყო.

ჩვენმა გაზეთმა, რომელმაც გაითვალისწინა ბიუჯეტის პრობლემები, და რაც მთავარია, რაკიღა პრეზიდენტის ინიციატივით პრესისთვის გაწეული საგადასახადო შეღავათების გამო ცოტათი ამოისუნთქა, გადაწყვიტა, გარკვეულწილად თვითონაც შეხიდებოდა ბიუჯეტს და, საკუთარი ეკონომიკური ინტერესების აშკარად საწინააღმდეგოდ, საგაზეთო ფართობის ერთი კვადრატული სანტიმეტრი 10 თეთრად შეაფასა, „24 საათმა“ კი 21 ცენტად, ანუ 38 თეთრზე ძვირად.

ჰოდა, როდესაც ჩვენ კი არა, წარმოდგენილმა დოკუმენტებმა ჰკითხეს მელა მელაძეს, უკაცრავად, გიორგი მელაძეს, რომელია უფრო იაფი, 10 თეთრი თუ 21 ცენტი, ანუ 38 თეთრზე მეტიო, როგორ ფიქრობთ, რა უპასუხა კომისიის თავმჯდომარემ?

– 21 ცენტი, ანუ 38 თეთრზე მეტიო, – ნირშეუცვლელად ბრძანა თითქოსდა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის თავგადაკლულმა და საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მიზნით კონკურსის გამომცხადებელი სახელმწიფო სამსახურის ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვაიხელმძღვანელმა.

პოეტისა არ იყოს, დავწვი შენი სამართალი და მიმატება-გამოკლების შენეული ცოდნა, კორუფციას გამოდევნებულო მელაძევ.

ალბათ, უთუოდ გაგვინაწყენდება სააგენტოს თავმჯდომარე – მე, პატიოსან და სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესებისთვის მებრძოლ კაცს, ვით დამწამეთ კორუფციაში მონაწილეობის მცდელობაო.

იქნებ სასამართლოშიც გვიჩივლოს.

ნება მისია.

ჩვენ კი კვლავ საკუთარ პოზიციაზე დავრჩებით, რადგან, ჯერ ერთი, თუ მელაძე მართლაც საბიუჯეტო სახსრების დაზოგვით არის დაინტერესებულ-ანთებული, როგორც ამტკიცებს, იგი, რომ იტყვიან, ორივე ხელით უნდა ჩაბღაუჭებოდა ჩვენი გაზეთის წინადადებას – არიქა, არ გადაიფიქროთ, თქვენ დაბეჭდეთ საბიუჯეტო ორგანიზაციათა სატენდერო განცხადებები, რომელთაც თქვენი გაზეთის ყოველ ერთ გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში, „24 საათის“ მიერ შემოთავაზებული ტარიფის გათვალისწინებით, 767 ლარი დაეზოგებათ, მთლიანად წელიწადში კი 700 ათასამდე ლარიო.

კი უნდა ჩაბღაუჭებოდა, მაგრამ თუ ხელები კორუფციული გარიგების სურვილმა აუკანკალა და შეუბოჭა?

– მთლად ასეთი რეგვენი როგორ იქნებოდა სააგენტოს თავმჯდომარე, რომ ამგვარი, თეთრი ძაფით შეკერილი სატინის მსგავსი და ყოველნაირად ულოგიკო გადაწყვეტილება მიეღო, ალბათ, ჰქონდა რაიმე საფუძველიო, – იტყვის უთუოდ მავანი.

– „24 საათს“ ინგლისურენოვანი დამატება აქვს და, სურვილის შემთხვევაში, შემკვეთს ინგლისურადაც გამოუქვეყნებს სატენდერო განცხადებასო, – უბრძანებია განმცხადებელთა ინტერესების დაცვის სურვილით გულაჩუყებულ და მათ სასარგებლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დაზარალებაზე დათანხმებულ, მანამდე კი საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის სურვილით გულანთებულ მელაძეს.

იხ. მე-2 გვ.

ბაზები

## ჯერჯერობით რადიკალურ ზომებს არ მივიღებთ

**18 მაისს ბრიუსელში მიემგზავრებიან: ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. 26+1 ფორმატის შეხვედრაზე საქართველოს ნატოში ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური შეფასება მოხდება. მხარეები ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის – აიპაპ-ის განხორციელების შეფასების გარდა ამ პროცესის ხელშესაწყობად საჭირო საერთაშორისო დახმარებებზეც იმსჯელებენ.**

„ვვარაუდობთ, რომ 2006 წლის ბოლოსთვის აიპაპ-ის შესრულებას შევძლებთ და უკვე საფუძვლიანად ვისაუბრებთ ნატოში გაწევრიანების გეგმაზე“, – თქვა სახელმწიფო კანცელარიაში ნატოს ქვეყნების ელჩებთან გამართულიშეხვედრის შემდეგ გიორგი ბარამიძემ.

მანვე აიპაპ-ის ერთ-ერთ თემად პარლამენტში განსახილველად წარდგენილი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია დაასახელა, რომელიც, „ფაქტობრივად, უკვე შესრულდა... საზოგადოებას საშუალება ექნება, ამ დოკუმენტს გაეცნოს, შენიშვნები მოამზადოს, თუმცა მინდა გითხრათ, რომ საზოგადოება გარკვეულწილად ჩართული იყო დოკუმენტის შემუშავებაში. სწორედ ამიტომ მის მომზადებას დრო დასჭირდა. გვინდოდა, დახვეწილი დოკუმენტი შექმნილიყო. ამას ეროვნული უშიშროების საბჭო ხელმძღვანელობდა“.

გიორგი ბარამიძის თქმით, ეს არის ძირითადი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც თავდაცვის სტრატეგია ანუ საგარეო ურთიერთობებში ჩვენი სტრატეგია შეიქმნება.

ნატოს ქვეყნების ელჩებთან გამართული შეხვედრის შემდეგ ამ საკითხზე თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმაც ისაუბრა. მან ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას „კარგად მომზადებული დოკუმენტი“ უწოდა. მისი თქმით, ამის შემდეგ უნდა შეიქმნას კიდევ უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტები: სამხედრო დოქტრინა, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, თავდაცვის დაგეგმარების დოკუმენტი და ა. შ.

ამის გარდა, ირაკლი ოქრუაშვილმა და გიორგი ბარამიძემ კომენტარები გააკეთეს რუსული სამხედრო ბაზების შესახებ საქართველოს პარლამენტის ადრე მიღებულ დადგენილებაზეც, რომელიც 15 მაისიდან აღმასრულებელ ხელისუფლებას საქართველოში რუსული სამხედრო ბაზების ბლოკირებას ავალდებულებს.

იხ. მე-2 გვ.

სამძიმრის წერილი

## ჟანი კალანდაძის გარდაცვალების გამო

**ჟანი კალანდაძე რევოლუციის შედეგად მოსულ პოლიტიკოსთა სრულიად ახალი ტალღის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. მას ყველაზე მეტად ახასიათებდა ამ ჯგუფის ყველა საუკეთესო თვისება: ფანატიკური პატიოსნება, იდეალიზმი, საკუთარი ქვეყნის ნათელი მომავლის მტკიცე რწმენა.**

**სულ რამდენიმე თვეში იგი გურიის მთელმა მოსახლეობამ იმისათვის შეიყვარა, რომ თითოეული გურულის გაჭირვებას ბოლომდე იზიარებდა. ჟანი კალანდაძე დღეს და ღამეს ასწორებდა – იქ, სადაც საჭირო იყო, ფიზიკურადაც მუშაობდა და ყველას პირად მაგალითს აძლევდა.**

**მე ძალიან ცოტას თუ ვიცნობდი ასეთ წესიერ, გონიერ, კეთილშობილ და, ამავე დროს, ძალზე გამბედავ ადამიანს.**

**ამას წინათ, შემთხვევით გავიგე, რომ პოლიტიკური საქმიანობის პარალელურად, ჟანი რამდენიმე წლის განმავლობაში, თურმე, თბილისში არსებულ უსახლკაროთა თავშესაფარს პატრონობდა. საკუთარი ხელფასის უმეტეს ნაწილსაც მათ აძლევდა და თან ამის შესახებ მისმა უახლოესმა მეგობრებმაც არ ვიცოდით.**

**მისი ცხოვრება იმ ცინიზმისა და ურწმუნოების ყველაზე დიდი უარყოფა იყო, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ ჭარბად არის წარმოდგენილი.**

**პირადად მე და მთელმა საქართველომ ჟანის დაღუპვით უდიდესი დანაკლისი განვიცადეთ.**

**გულწრფელად ვიზიარებ ჟანის ოჯახის მწუხარებას მისი გარდაცვალების გამო.**

**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი.**

კვირის თვალსაწიერი

## ბაკულას საპორისხვა არ უშვებს...



საქართველოს ჟამთა აღწერაში სიტყვა „დიდით“ რამდენიმე მოვლენაა ხაზგასმული: „დიდი ღამე“, „დიდი ელჩობა“...

ახლა „დიდი სტუმრობა“ შემოდის ისტორიაში დასამკვიდრებლად.

ამერიკის პრეზიდენტის სადღესასწაულო დახვედრამ ამერიკელების კი არა, თვით ქართველების მოლოდინსაც გადააჭარბა.

როგორც იტყვიან, „უკანასკნელი პერანგი“ გავიხადეთ...

მასპინძლობა მართლაც ზღაპრული იყო.

და, მგონი, შედეგიც გამოიღო. სტუმარი თვალნათლივ დარწმუნდა:

რომ საქართველო არ არის ზანზიბარი ან ფათუ-ჰივა.

რომ ხინკალი კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი კულინარული საოცრებაა (ამის დასტურად მსოფლიოს დასანახად სტუმარმა ნახინკლარ მუცელზე მოისვა ხელები);

რომ ქართული ცეკვა მსოფლიოს მერვე საოცრებაა (ამის დასტურად სტუმარი თვითონაც აროკდა სცენაზე);

რომ საქართველო ფერთა გამაა (ამის დასტურად სტუმარმა ცისარტყელად ქცეული თბილისი იხილა);

რომ საქართველო დემოკრატიის მეციხოვნეა კავკასიაში, ან სულაც მთელ წინა აზიაში, ერთი სიტყვით, მაშრიყიდან მაღრიბამდე (ამის დასტურია მისალმების ნიშნად სტუმრის მიერ ხელების ენერგიული ქნევა) – „საქართველოს აქვს შანსი, გახდეს რეგიონული ლიდერი. ვარდების რევოლუცია მიმზიდველი და გადამდები მაგალითი უნდა იყოს პოსტსაბჭოთა სივრცეში“.

ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა.

უშიშროების უპრეცედენტო ზომები ჩვენს მოცეკვავეებსაც შეეხო და ჩოხებიდან ხანჯლები ააყრევინა, რაც, სხვათა შორის, კრემლში სტალინთან ქართველი მოცეკვავეების სტუმრობის დროსაც არ ხდებოდა ხოლმე. ჩოხა უხანჯლოდ იგივეა, რაც სმოკინგი უთეთრპერანგოდ და უბაფთოდ!

იხ. მე-2 გვ.

პრეზიდენტი

## ვარშავაში – ოფიციალური ვიზიტით

**დღეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოფიციალური ვიზიტით ვარშავაში გაემგზავრება, სადაც ევროსაბჭოს სამიტი გაიმართება.**

დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა, ასევე შეხვედრები პოლონეთის პრეზიდენტთან ალექსანდრე კვასნევსკისთან და ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების სხვა ხელმძღვანელ პირებთან.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„ნოვოე რუსსკოე სლოვო“ (აშშ), 14 მაისი. НОВОЕ РУССКОЕ СЛОВО

## ამერიკის სენატი: დადგა რუსი სამხედროების საქართველოდან წასვლის დრო



**პარასკევს, 13 მაისს, ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მთლიანად დაუჭირა მხარი პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ინიციატივას, რომელიც გამიზნულია იმისთვის, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება დაარწმუნოს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების, რაც შეიძლება სწრაფად გატანის აუცილებლობაში.**

სენატის ლიდერებმა ბილ ფრისტმა (რესპუბლიკური პარტია) და ჰარი რეიდმა (დემოკრატიული პარტია) ამის თაობაზე გააკეთეს ერთობლივი განცხადება.

კერძოდ, ბილ ფრისტმა აღნიშნა, რომ საქართველომ ვერ შეძლო თავიდან მოეშორებინა რუსეთის სამხედრო ბაზები დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ათ წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგაც კი. ამავე დროს, თქვა მან, რუსეთს არ ძალუძს შეასრულოს საქართველოს რეგიონებში უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით ნაკისრი ვალდებულებანი. „დადგა დრო, რომ ეს ძალები გაიყვანონ საქართველოდან“, – აღნიშნა სენატორმა ფრისტმა.

„ინტერფაქსი“, 14 მაისი. интерфакс

## რუსი სენატორები აკრიტიკებენ ამერიკელებს საქართველოში ბაზების შესახებ მიღებული რეზოლუციის გამო



**– ფედერაციის საბჭოში გაკვირვებით აღიქვეს ამერიკის შეერთებული შტატების სენატის პოზიცია, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს მოთხოვნას ამ ქვეყნიდან რუსეთის ბაზების გატანის შესახებ, – განაცხადა ზედა პალატის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ ოზეროვმა.**

„რუსული ბაზების მიმართ დემარში საქართველოს მხარემ წამოიწყო პრაქტიკულად მაშინვე, როგორც კი დასრულდა თბილისში ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტი. ჩემი აზრით, შემთხვევითი არ გახლავთ, რომ საქართველოს მოთხოვნას მხარი დაუჭირა ამერიკის სენატმა“, – თქვა ვ. ოზეროვმა. როგორც მან აღნიშნა, რუსეთი არ ამბობს უარს საქართველოდან თავისი ბაზების გამოტანაზე. „მაგრამ ეს პროცესი შეუძლებელია განხორციელდეს ფორსირებული რეჟიმით, რადგან ჩვენ ჯარებს ვერ გავიყვანთ, ასე ვთქვათ, ტრიალ მინდორში, სამხედროების გაყვანისთვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, მათთვის პირობების შექმნა“, – დასძინა სენატორმა.

ინტერპანორამა

**უზბეკეთის ქალაქი კარასუ ჯარით გარშემორტყმულია – მცხოვრებნი შტურმს ელოდებიან**

**თვითმხილველთა თქმით, მომიტინგეები ხელიდან არ უშვებენ ანდიჟანის ოლქის კურგან-ტიუბინის რაიონის თავკაცს, რომელიც გუშინ დილით მომიტინგეებთან მოლაპარაკებას ცდილობდა. ადრე თვითმხილველები იუწყებოდნენ, აგრეთვე, რომ კარასაში იწვის მილიციის რაიონული ადმინისტრაციისა და საგადასახადო ინსპექციის შენობები.**



**ანდიჟანი დატოვეს ჟურნალისტებმა, რომლებიც უცხოეთის სააგენტოებისთვის მუშაობდნენ**

**„უზბეკეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა შვიდ უცხოელ ჟურნალისტს, ჩვენი კორესპონდენტის ჩათვლით, სთხოვეს ქალაქის დატოვება, და ისინი, ჩვენი ინფორმაციით, უკვე გამოვიდნენ ქალაქიდან,“ – აღნიშნა Reuters-ის სააგენტოს საერთაშორისო განყოფილების წარმომადგენელმა.**



**უკრაინელებმა ძირითადად კარგად შეაფასეს ახალი ხელისუფლების პირველი 100 დღე**

**კერძოდ, უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს მოქმედება კარგი მხრით შეაფასა გამოკითხულთა 50,8 პროცენტმა. ვარიანტს – „ნაწილობრივ კარგად, ნაწილობრივ ცუდად“ – მხარი დაუჭირა გამოკითხულთა 30 პროცენტმა. გამოკითხვა მოაწყო სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტმა.**



**სადამ ჰუსეინი ციხეში მემუარებს წერს**

**ეყრდნობა რა ჰუსეინის ადვოკატს ჯოვანი სტეფანოს, გაზეთი Financial Times წერს, რომ ექსპრეზიდენტი უკვე ორი კვირაა მოგონებებზე მუშაობს. იგი მოგვითხრობს თავის ბავშვობაზე, ეგვიპტეში გადასახლებაზე, ირანთან და კუვეიტთან ერაყის ომზე.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 114. კვირა, 15 მაისი, 2005 წელი.

# მელას რაც ელანდებოდაო...
# ერთს რომ ერთი მივუმატოთ, რამდენია, ბაჯია?

## რა ენატრებოდა და ენატრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს გიორგი მელაძეს?

(პირველი გვერდიდან)

რაკი მისი ამგვარი პოზიცია ადრევე გავიგეთ, კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე წერილით მივმართეთ უფალ მელაძეს, რომლითაც ავუხსენით, რომ ჩვენი გაზეთი წლების მანძილზე, შემკვეთის სურვილის შემთხვევაში, არა მარტო ინგლისურად, არამედ სხვა უცხო ენებზეც აქვეყნებდა სატენდერო განცხადებებს. ამგვარი უცხოენოვანგანცხადებიანი გაზეთიც დავურთეთ იმ წერილს, მაგრამ...

— სიყვარულმა მე კი არა, გადარია ტარიელიო, — რომ ბლავის ნოდარ დუმბაძის გიჟი ბეჟანა, თურმე ის სიყვარული, როგორც ჩანს, მიქარვა და გონების დამბინდველი ყოფილა კორუფციული გარიგების სურვილ-სიყვარულთან შედარებით.

სხვანაირად ვერ ახსნი მელაძის ამ გაუგებარ გადაწყვეტილებას.

მისი საქციელი იმ ერთი არაკის პერსონაჟის ქმედებას გვაგონებს, ღვინის მოსაფრთხილებლად მარანში დარაჯად რომ დასვეს და სხვაზე მეტი მოიპარა.

და აქ, თქვენი ნებართვით, კიდევ ერთი გადახვევის უფლებას მივცემთ თავს, პატივცემულო მკითხველო.

მათემატიკასთან, უფრო სწორად, ელემენტარულ არითმეტიკასთან რომ საკმაოდ მწყრალად ყოფილა სახელმწიფო ბიუჯეტის ინტერესების „დამცველი" გიორგი მელაძე, უკვე ვნახეთ, მაგრამ, ახალგაზრდა კაცია და ფეხბურთი მაინც ეყვარება. ისიც ეცოდინება, რომ ნებისმიერი თასის გათამაშების ფინალურ მატჩში დამატებითი „კომპონენტები" (დამატებითი ტაიმები, თერთმეტმეტრიანები) მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როცა ძირითადი დრო ფრედ მთავრდება.

ჰოდა, ამის ანალოგიით „24 საათს", ჩვენი გაზეთის მსგავსად, 10 თეთრად რომ შეეფასებინა ერთი კვადრატული სანტიმეტრი, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გამოეყენებინა კომისიას გამარჯვებულის გამოსავლენად „ინგლისურენოვანი" დამატება ხსენებული გაზეთისა, რომელიც აქამდე თვალით არ გვინახავს, და, როგორც მოგახსენეთ, ინგლისურადაც და სხვა ენებზეც უკვე მაშინ ვბეჭდავდით სატენდერო განცხადებებს, როცა „24 საათი", ვგონებ, საერთოდ არ გამოდიოდა...

მოკლედ, მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო, რომ არის ნათქვამი, ამ შემთხვევაში სწორედ ისეა.

გიორგი მელაძეს კი თურმე ისე ძალიან ელანდებოდა ერთი რამ, რომ სულ მწვანე-მწვანე კუპიურებიან სიზმრებს ხედავდა.

ალბათ ამიტომაც ამჯობინა ცენტი თეთრს (მით უფრო, რომ თეთრის მფლობელს ამ შემთხვევაში სახელმწიფო ინტერესების მსახურების გარდა, მისთვის სხვა არაფერი შეუთავაზებია).

კვლავ გაგვიბრაზდება ბატონი გიორგი?

გვიჩივლოს სასამართლოში და იქ დაამტკიცოს ამ ჩვენეული დასკვნის საწინააღმდეგო და საკუთარი აბსურდულ-ალოგიკური გადაწყვეტილებების გამამართლებელი სიმართლე.

თუმცა მანამდე, თუ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების ხელმოწერებით დამოწმებულ ასლს მივიღებთ, რის შესახებაც კომისიას წერილობით უკვე მივმართეთ, თავად მივალთ სასამართლოში.

თანაც არა იმდენად იმიტომ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ჩვენთვის ბევრი არაფრის მომცემი ტენდერი მოვიგოთ, რამდენადაც იმისთვის, რომ კიდევ ერთმა უსამართლობამ არ იზეიმოს.

ეს არის მთავარი.

**აზო შელია.**



◎ ბაზები

# ჯერჯერობით რადიკალურ ზომებს არ მივიღებთ

(პირველი გვერდიდან)

„თავისთავად პარლამენტის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, — თქვა ირაკლი ოქრუაშვილმა, — მაგრამ უახლოეს დღეებში არ ვაპირებთ რუსულ ბაზებთან დაკავშირებით რადიკალური ზომების მიღებას. არსებობს რუსულ მხარეზე ზემოქმედების რადიკალური და ლიბერალური ზომები. ამ ეტაპზე ჩვენ პრიორიტეტს ლიბერალურ ზემოქმედებას მივანიჭებთ".

ამავდროულად, თავდაცვის მინისტრს გაუმართლებლად და მიუღებლად მიაჩნია რუსეთის ზოგიერთი ოფიციალური პირის განცხადება, რომლის თანახმადაც რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის სანაცვლოდ, საქართველომ ფინანსური კომპენსაცია უნდა გაიღოს. გიორგი ბარამიძე ფიქრობს, რომ შესაძლოა საქართველომ თავად მოსთხოვოს რუსეთს ფინანსური კომპენსაცია. თუმცა იქვე დასძენს, რომ ამ ეტაპზე ჩვენი მთავრობა უპირატესობას რუსული სამხედრო ბაზების რაც შეიძლება სწრაფად გაყვანას ანიჭებს და ფინანსურ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას არ აპირებს.

ნატოს ქვეყნების ელჩებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით რუსულმა მხარემ ახალი დოკუმენტი წარმოადგინა და ვიდრე მოლაპარაკებები არ დასრულდება, რაიმე ოფიციალური განცხადების გაკეთება მას მიზანშეუწონლად მიაჩნია.

რუსეთი ახალქალაქის და ბათუმის სამხედრო ბაზების გასაყვანად 4 წელს ითხოვს, ქართული მხარის მოსაზრებით კი, ბაზების გაყვანა 2008 წლის 1 იანვრისთვის უნდა დასრულდეს.

„ჩვენ არ ვაპირებთ ვითარების ხელოვნურად დაძაბვას", — დაასკვნა სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, მაგრამ ქართული მხარის ვარაუდით, თუ ბაზები ქვეყნის ტერიტორიას არც წელს დატოვებენ, ზომები უფრო გამკაცრდება.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

◎ ინფორმაცია

## ლოშჩინინი თითს გვიქნევს

რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით საქართველოს ულტიმატუმის პასუხად, რუსეთმა შეიძლება მკაცრი ზომები მიიღოს. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა გუშინ რადიოსადგურ „მაიაკის" პირდაპირ ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, „ულტიმატუმი ის ენა არ არის, რომელზეც შეიძლება რუსეთს ელაპარაკო".

„საქართველოს პარლამენტის ქმედება არაადეკვატური იყო. ულტიმატუმი კონტრპროდუქტიული საქმეა. ჩვენ არ ვაპირებთ საქართველოს ჩავებღაუჭოთ, ან იქ დავრჩეთ", — აღნიშნა ლოშჩინინმა.

მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ თავდაპირველად რუსული ბაზების გაყვანის 11-წლიან ვადაზე იყო საუბარი, შემდეგ კი რუსეთმა ეს ვადა ოთხ წლამდე შეამცირა. „მაგრამ ამას რატომღაც არ ეთანხმება თბილისი", — თქვა დიპლომატმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ ყოველწლიურად ქართული სათვისტომო რუსეთიდან საქართველოში ასეულობით მილიონ დოლარს აგზავნის, რაც ლოშჩინინის თქმით, არსებითი დახმარებაა საქართველოს ეკონომიკისთვის, რომელიც მხოლოდ ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებშია შესაძლებელი.

## აკაკი ასათიანის შეფასებით...



„სახალხო ფორუმის" ლიდერის აკაკი ასათიანის შეფასებით, საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტისა და ქართველი ხალხის დემოკრატიისთვის მებრძოლ ერად გამოცხადების მიუხედავად, საქართველოში ხელისუფლების არადემოკრატიულობის გამო, დემოკრატიული პროცესები არ ხორციელდება.

„ეს ხელისუფლება დემოკრატიული ცვლილებების გამტარებელი არ არის", — განაცხადა გუშინ აკაკი ასათიანმა „სახალხო ფორუმის" ინიციატივით სასტუმრო „თორში" არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ მორიგ შეხვედრაზე, რომელიც „სახალხო ფორუმის" ინიციატივით ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის — „დემოკრატია და საქართველოს" შედეგების შეჯამებას მიეძღვნა.

ასათიანის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებსა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაზე „ხშირად ყიჟინებს", დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იმაზე ბევრად რთული ვითარებაა შექმნილი, ვიდრე ამ საკითხზე ხელისუფლებამ თბილისში ვიზიტით მყოფ აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს მოახსენა.

მისივე თქმით, „დემოკრატიული პროცესების განვითარება" სულაც არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ „რამდენად მოეწონა პრეზიდენტ ბუშს ხინკალი".

## არძინბა ცოცხალი ყოფილა?!

აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის დე-ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა თავის წინამორბედს ვლადისლავ არძინბას გუშინ 60 წლის იუბილე მიულოცა.

როგორც „ინტერ-პრესს" ბაღაფშის აპარატში აცნობეს, ვლადისლავ არძინბას 60 წლის იუბილე სპეციალური მიმართვით მიულოცეს პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა და რაულ ხაჯიმბამ, პარლამენტის თავმჯდომარემ ნუგზარ აშუბამ და პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა.

„თქვენს ფასდაუდებელ ღვაწლს აფხაზეთის დამოუკიდებლობის ისტორიაში მომავალი თაობები ღირსეულად დააფასებენ", — ნათქვამია წერილში.

„თქვენ იდექით აფხაზეთის დამოუკიდებლობის სათავეებთან და თქვენი ხელმძღვანელობით მრავალეროვანი აფხაზეთის ხალხმა მიაღწია გამარჯვებას ქართულ აგრესიასთან ბრძოლაში", — აღნიშნულია მილოცვაში. 1991 წლის ნოემბერში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული ვლადისლავ არძინბა 1994 წლის დეკემბერში არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს. მეორე ვადით კი არძინბა 1999 წელს საყოველთაო არჩევნების შედეგად გახდა დე-ფაქტო პრეზიდენტი. 2001 წლის შემოდგომიდან, ჯანმრთელობაშერყეული არძინბა აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ველარ მონაწილეობდა, მაგრამ აფხაზეთში მოქმედმა პოლიტიკურმა ძალებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ იგი პოლიტიკური ასპარეზიდან აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ წასულიყო.

## ბიუჯეტი 3 მილიარდ ლარს გადააჭარბებს

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ვალერი ჩეჩელაშვილის პროგნოზით, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 3 მილიარდ ლარს გადააჭარბებს. ამის შესახებ განცხადება ჩეჩელაშვილმა გუშინ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე 2004 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშის წარდგენისას გააკეთა.

ჩეჩელაშვილის ინფორმაციით, მიმდინარე წელს ბიუჯეტში ორჯერ შეტანილი ცვლილებების შედეგად, ბიუჯეტი 330 მლნ. ლარით გაიზარდა. პირველი მატება აგვისტოში 230 მლნ. ლარით განხორციელდა, ხოლო მეორე ზრდა — დეკემბრის თვეში, 100 მლნ. ლარით. პირველად მთავრობას საშუალება მიეცა 254 921 000 ლარით დაეფარა წინა წლების არსებული დავალიანებები.

გარდა ამისა, კომიტეტის სხდომაზე საუბარი შეეხო კიდევ ერთ ცვლილებას, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა უნდა წარუდგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად. საუბარია ხარჯვითი ნაწილის კიდევ 66 მლნ. ლარით ზრდაზე. აქედან, სტიქიით მიყენებული ზარალის დასაფარად 20 მლნ. ლარი უნდა გამოიყოს, საიდანაც 15 მლნ. გზებისა და კომუნიკაციების აღდგენას მოხმარდება, ხოლო 5 მლნ. — სტიქიით დაზარალებულთა ოჯახებისთვის სახლების შეძენას. დანარჩენი 46 მლნ. ლარი თავდაცვის სამინისტროსთვის არის განკუთვნილი.

**ინტერ-პრესი.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია ცივილიზებული გზით გადავწყვიტოთ რუსეთის ბაზების საკითხი"

**საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა „ვრემია ნოვოსტეის" თბილისელ კორესპონდენტთან მიხეილ ვიგნანსკისთან საუბრის დროს კომენტარი გაუკეთა რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის ირგვლივ შექმნილ ვითარებას.**

**— მომავალი ორშაბათიდან დაიწყება ახალი ხანა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში იმასაც კი ამბობენ, რომ შესაძლოა გამოიხმონ ელჩი „კონსულტაციებისთვის".**



— დავიწყოთ იმით, რომ ჩვენი პარლამენტის დადგენილება ბაზების შესახებ, სანქცია არ გახლავთ. გამოცხადებულია, რომ ბაზები ფუნქციონირებენ გატანის რეჟიმით. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, მოლაპარაკების გზით თუ მივაღწევდით ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებას. ყველა შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის ამოწურული. ამიტომ, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თითქოს 16 მაისიდან რაიმე შავი ფურცელი იწყებოდეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ისტორიაში. დიახ, პარლამენტის დადგენილების შესრულება სავალდებულოა. მოლაპარაკების მონაწილე მხარეებს ნამდვილად გაუჭირდებათ მუშაობა ასეთ პირობებში. მაგრამ ჯერ ხომ ყველაფერი არ არის დაკარგული. რაც შეეხება საპასუხო ღონისძიებებს, ყველა მხარე ირჩევს იმას, რაც საჭიროდ მიაჩნია. მაგრამ, ვფიქრობ, რომ „დუღილის ტემპერატურამდე" საქმე არ მივა. უთუოდ გადავდგამთ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც, იმედი გვაქვს, მოგვცემს მორიგების მიღწევის შესაძლებლობას.

**— რატომ მოითხოვს საქართველო ასე მკაცრად რუსეთის სამხედრო ბაზების გატანას 2008 წლის 1 იანვრამდე?**

— ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ სამი წელი ბაზების გატანისთვის, ეს გონივრულ ვადაზე უფრო მეტიც კია, საჭიროა მხოლოდ პოლიტიკური ნების გამოჩენა. ამ დროის განმავლობაში აქ მყოფი ადამიანებისა და ტექნიკის გაყვანა სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. ჩვენ ამას ტყუილად არ მოვითხოვთ. რუსეთს განვუმარტეთ, რომ ურთიერთობა ვცდილობთ დავაფუძნოთ ნდობისა და ორმხრივი პასუხისმგებლობის პრინციპებს. 2008 წლის მარტში საქართველოში გაიმართება პარლამენტის არჩევნები და ჩვენთვის არ არის სასურველი, თუ იმ დროისთვის კიდევ შემოგვრჩება ბაზებთან დაკავშირებით გადაუწყვეტი საკითხები.

**— თუ ცოცხლობს კიდევ იდეა საქართველო-რუსეთის ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის შესახებ?**

— რუსეთის მხარესთან მოლაპარაკების დროს, გამოვიტანეთ ასეთი დასკვნა, რომ ანალიტიკური ცენტრი უნდა შეიქმნას თბილისში. ჩვენ ნაწილობრივ შეიძლება გამოვიყენოთ ბათუმის ინფრასტრუქტურა, მას შემდეგ, რაც იქაური ბაზიდან გავლენ რუსი სამხედროები. ტერორის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ პრევენტიული მეთოდებით, საჭიროა ინფორმაციის გაცვლა, სპეციალისტების მომზადება. სწორედ ამისთვის შეიძლება ბათუმის ბაზის გამოყენება.

**— რას ამბობენ ამერიკელები: ჯერ მოურიგდით რუსებს და ამის შემდეგ დაგეხმარებით, თუ დაგეხმარებით მორიგების მიღწევაში?**

— ბაზების გატანის საკითხი მარტო ორმხრივი პრობლემა არ არის. ეს არის რუსეთის მიერ 1999 წელს ეუთოს სტამბოლის სამიტზე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულება. ეუთოს წევრთა აზრი ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. დიახ, ყველა ამბობს, რომ უკეთესი იქნება მორიგების მიღწევა. რა თქმა უნდა, ეს ყველაზე ცივილიზებული ფორმა იქნებოდა.

რუსეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ მის ბაზებს საქართველოში არ უნდა ჩაენაცვლონ სხვა ქვეყნების ბაზები. საქართველოს პრეზიდენტმა უკვე განაცხადა, რომ ასეთი რამ არ მოხდება. მაგრამ თუ რამდენად ემუქრება ეს რუსეთის უშიშროებას, ამის გაგება არ შეგვიძლია. თუ ეს საკითხი სერიოზულად აშფოთებს რუსეთის მხარეს, ჩვენ მზად ვართ მივიღოთ შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

**— ბაზების გატანის შემდეგ საქართველო მშვიდობისმყოფელთა გაყვანასაც ხომ არ მოითხოვს?**

— ეს საკითხი ჯერჯერობით არ განხილულა. მაგრამ აფხაზეთში დგანან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მშვიდობისმყოფლები. მე ჯერ კიდევ მრავალი წლის წინათ აღვნიშნავდი, რომ თანამეგობრობას რაიმე დიდი პერსპექტივები არ გააჩნდა. რაც შეეხება სუამს, მას სერიოზული ამბიციები აქვს, რადგან ეს ორგანიზაცია ეფუძნება ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინების პრინციპს.

**— სუამს რაიმე სამხედრო კომპონენტი ხომ არ დაემატება?**

— მე მწამს ამის. ჩვენ გამოვთქვით ინიციატივა იმის თაობაზე, რომ სუამის პაკეტში შეიტანონ უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხებიც. როგორც კი უზბეკეთმა განაცხადა, რომ ტოვებდა სუამის რიგებს, ამ ქვეყანაში რაღაც უცნაური მოვლენები დაიწყო.

**— იქ, შემთხვევით, ახალი „ფერადი რევოლუცია" ხომ არ იწყება?**

— ამჟამად უზბეკეთში მიმდინარე მოვლენებს მე კომენტარს ვერ გავუკეთებ. მაგრამ რევოლუციის არანაირი ექსპორტი არ ხდება. ჩვენ ამას არ ვეწევით. ჩვენ უბრალოდ, აღვნიშნავთ, რომ საქართველო არის იმის კარგი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება მივაღწიოთ დემოკრატიული საზოგადოების დამკვიდრებას, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებას, როგორ შეიძლება ავაშენოთ ნორმალური, ცივილიზებული ევროპული სახელმწიფო.

**„ვრემია ნოვოსტეი", 14 მაისი.**

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

◎ კვირის თვალსაწიერი

# ბაკულას გამორიცხვა არ ეგების...

(პირველი გვერდიდან)

მართალია, საზოგადოებამ „შტურმით აიღო" — გადათელა „გამტარი" პუნქტები და თავისუფლების მოედანი შეუმოწმებელმა, ანუ დაცვის თვალსაზრისით არაკეთილსაიმედო ხალხმა შეავსო, მართალია, ბოლოს (აგერ ახლახან) რაღაც დაუსაბუთებლად, რაღაც დაუჯერებლად და საეჭვოდ ისიც ითქვა, თითქოს თავისუფლების მოედანზე ამერიკისა და საქართველოს პრეზიდენტების ტრიბუნისგან რამდენიმე ათეულ მეტრში არასაბრძოლო ხელყუმბარა (თუ მულაჟი) უსვრიათ, თუ გაუგორებიათ, მადლობა ღმერთს, სტუმრობის კრიალა ცა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ერთ საავდრო ღრუბელსაც არ დაულაქავებია.



თბილისის მოქალაქენი შესანატრი სიდინჯით იქცეოდნენ, თუ თავისუფლების მოედანზე ერთ ფეხმოტეხილ და ორიოდ გულშეღონებულ ადამიანს არ ჩავთვლით, ისიც ხალხის სიმრავლისა და სიცხის გამო.

მაგრამ ამქვეყნად კრიტიკანს და უკმაყოფილოს რა დალევს. ერთმა ავყიამ მასპინძელთა დიდი მონდომება „დიდ შეძრომად" მონათლა, სხვამ კი ის იკადრა, აღარ მიკვირს თბილისში ჩამოსულ რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს მეცხრამეტე საუკუნეში ორბელიანის ულამაზესი ასული ლოგინში რომ ჩავუწვინეთო...

ახლა იმის გამოა მითქმა-მოთქმა, ამ ვიზიტისგან ბევრს ველოდით და ფაქტობრივად ვერაფერიც ვერ მივიღეთო...

რას ელოდნენ ეს მობუზღუნენი, პრეზიდენტი ბუში აიღებდა და მუშტს დაუბრახუნებდა რუსეთს, დროზე აახვიე აქედან შენი სამხედრო ბაზებიო?

ამას არც იტყოდა და ვერც იტყოდა!

ჯორჯ ბუშს სულაც რომ არაფერი ეთქვა, საქართველოში მისი ჩამოსვლის თვით ფაქტი, ყველასთვის და, განსაკუთრებით, რუსეთისთვის მრავლისმეტყველი იყო. მან არა თუ თავისი გამოსვლით, არამედ ჩამოსვლითაც კი დაამტკიცა, რომ საქართველო მისთვის დასაყრდენი ქვეყანაა.

განაცხადა, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ეს ყველამ უნდა გაიგოსო.

მან ნათელი გახდა პოზიცია, რომ პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა მოლაპარაკებებით, მშვიდობიანად უნდა მოხდეს (უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის ამ პროცესში საქართველოს მხარეს დაიჭერს).

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის კაპიტალდაბანდება, რაც ამ ვიზიტში ჩაიდო, ყველაზე სარგებლიანი კაპიტალდაბანდებაა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.



მაგრამ ამ საზეიმო დაფ-ნაღარაში ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი გაღიზიანებულია აშშ პრეზიდენტ ბუშის საქართველოში ვიზიტით. „წმინდა გიორგის მფარველობის ქვეშ მყოფ ქვეყანას, როგორც ჩანს, ახალი მფარველი გამოუჩნდა ჯორჯ ბუშის სახითო... — წერს რუსული პრესა; ვითომც ქართველების დახვედრით მოხიბლულ ბუშს ეთქვას, „ახლა მესმის, რატომ არ უნდათ რუსებს აქედან წასვლაო".

არ უთქვამს ეს ბატონ ბუშს, მაგრამ მაინც მიაწერეს, მაინც „ათქმევინეს", რათა დაამცირონ, ოდენ პურ-მარილზე და ზეიმზე დაიყვანონ ამ ვიზიტის მნიშვნელობა.

გაღიზიანების საფუძველი იმითაც საცნაურია, რომ ამ ზაფხულში საქართველოზე გამავალი ახალი გიგანტური ნავთობსადენით რუსეთისთვის გვერდის ავლით უნდა დაიწყოს კავკასიის ნავთობის დასავლეთისკენ სვლა. აქ უკვე სიმბოლურ გამარჯვებაზე კი არა, ბაზრისა და გეოსტრატეგიულ წონასწორობაზეა ლაპარაკი.

გაღიზიანებულმა რუსეთმა უკვე გამოიჩინა კბილები.

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ უმალ გამოხატა თავისი დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ 15 მაისს ვადა გასდის ულტიმატუმს რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით, ანუ, სავარაუდოდ, ვიზები აღარ მიეცემა რუს სამხედროებს, მათ გადაეკეტებათ კომუნიკაციები — საქართველო შეიძლება სრულ ეკონომიკურ ბლოკადაში აღმოჩნდეს.

თუმცა რუსეთისთვის საქართველო ჯერ კიდევ საბოლოოდ დაკარგული არ არის, თუ იგი მასთან ითანამშრომლებს სტაბილური დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს სახით.

არადა, რუსეთთან თანამშრომლობა საჭიროა, რაგინდ ჩახუტებულიც იყო ამერიკასთან.

სხვაგვარად უბრალოდ არ გამოვა.

ერთმა ენაკვიმატმა კაცმა დავით კლდიაშვილის „ბაკულას ღორები" გამახსენა.

მეზობელი ბაკულას ღორების „აგრესიით" შეწუხებული გალაქტიონ ხოსოლიანი ხერხს მიმართავს: მაზრის სამმართველოს ხელმძღვანელობას შინ მიიპატიჟებს, რათა მათ ბაკულა შეაშინონ და ღორების თარეში შეაწყვეტინონ.

მაზრის სამმართველოს ხალხმა სოფელში გვარიანად მოილხინა, ბაკულა „შეაშინა", მაგრამ მისმა ღორებმა ორიოდ კვირაში გალაქტიონის სახლ-კარის აკლება ძველებურად განაახლეს...

რაგინდ დიდი სტუმრობა ვისტუმროთ, „ბაკულას ღორების" შემოსევას ვერ აღვკვეთთ, თუ თვით ბაკულასთან არ გადავწყვიტეთ საკითხი.

ბაკულას გამორიცხვა არამც და არამც არ ეგების!

ბაკულა ჩვენი ფატალური მეზობელია...

**ალეკო ასლანიშვილი.**

⊙ ჩვენ

# საარსებო მინიმუმისა და სიღარიბის გაზომვის პრობლემები საქართველოში

## (საკითხის დასმის წესით)

შემდეგი ასპექტი:

საქართველოში სიღარიბის განსაზღვრისათვის მიჩნეულია 2500 კკალ დღე-ღამეში მოსახლეობის ერთ სულზე, მაშინ როდესაც ასეთი მაღალი მაჩვენებელი არა აქვს არც ერთ ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყანას. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 2237 კკალ-ს, აზერბაიჯანში, შესაბამისად, 2093-ს, სომხეთში – 2100-ს... **საქართველოში 2100 კკალ-ის დონეზე ნორმატივის დაყვანა სხვა თანაბარ პირობებში საშუალებას მოგვცემდა სამომხმარებლო კალათა გაგვეიაფებინა დაახლოებით თექვსმეტი პროცენტით.** ნორმატიული კალორიულობის შემცირება და ფასების დონის დადგენისას ფაქტობრივი შესყიდვის ფასების მხედველობაში მიღება ნაცვლად გამყიდველის ფასებისა, კალათს მთლიანობაში მნიშვნელოვნად გააიაფებს.

ჩვენი შეფასებით, **სასურსათო კალათის ამ ორი ფაქტორის გადაფასების გამო (კალორიულობის მინიმალური ნორმატივის შემცირება და ფაქტობრივი შესყიდვის ფასებით დათვლა) მთელი საარსებო მინიმუმი შეიძლება შემცირდეს დაახლოებით 15-17 პროცენტით, ხოლო მასში არასასურსათო ნაწილის წილი გაიზარდოს ამჟამინდელი 40 პროცენტიდან თითქმის 47-48 პროცენტამდე.** ნორმატიული სასურსათო კალათის ამგვარი გაიაფება მისი გათვლის განსხვავებულ პრინციპებს, მეთოდოლოგიას, ნორმატივებს ემყარება და არა ფასების დონის ცვლილებას.

ამჟამინდელი მდგომარეობით (2005 წლის მარტის მიხედვით) ეს ნიშნავს შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის შემცირებას თვეში 154 ლარიდან 128 ლარამდე, საშუალო ოჯახზე გაანგარიშებით კი, შესაბამისად – 268 ლარიდან 222,4 ლარამდე. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად – 12 პროცენტული პუნქტით – შეამცირებს საარსებო მინიმუმის ზღვარს მიღმა მყოფი შინამეურნეობების რაოდენობას (52,6 პროცენტიდან 40,5 პროცენტამდე), ანუ **დღეს მოქმედი მეთოდოლოგია „ღარიბთა“ რაოდენობას ზრდის, სულ ცოტა, 140 ათასი შინამეურნეობით.**

ბუნებრივია, „შემსუბუქებული“ საარსებო მინიმუმის სიდიდე შემდგომში მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული სამომხმარებლო ფასების დინამიკაზე...

**ზემოაღნიშნული გარემოებები დღის წესრიგში აყენებს საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდიკის შეცვლის აუცილებლობას.** სტატისტიკის დეპარტამენტი არაა უფლებამოსილი დამოუკიდებლად განახორციელოს აღნიშნული აქტი. – აუცილებელია მისი „ლეგიტიმაცია“. კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უნდა განიხილოს სოციალური სტანდარტის ცვლილებები და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებასთან შეთანხმებით დააყენოს სოციალური სტანდარტის გადასინჯვის საკითხი, გადასინჯოს საკვებ ნივთიერებებზე და ენერგიაზე მოთხოვნის ფიზიოლოგიური ნორმები, რომელიც დადგენილია 1991 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მონაწილეობით, ჯერ კიდევ მაშინდელი საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება შინამეურნეობებზე დაკვირვების მონაცემებიდან მიღებული ფაქტობრივად მოხმარებულ სასურსათო კალათაზე და სამომხმარებლო ბაზრის სტატისტიკაზე დაყრდნობით, საკვებ ელემენტებზე მოთხოვნილების ახალი ნორმების გათვალისწინებით, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ზემოხსენებულ სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად სასურსათო კალათის შემადგენლობის გადასინჯვა და საარსებო მინიმუმის გაანგარიშების ახალი მეთოდიკის დამტკიცება.

სიღარიბის ანალიზისა და მისი დაძლევის პროგრამის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია დროის მიხედვით პრიორიტეტების განსაზღვრა და არსებული რესურსების პირობებში ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება. **სიღარიბის მაჩვენებლების გაანგარიშება უნდა მოხდეს სხვადასხვა ზღვრის მიმართ, ხოლო მათი დაძლევა დაიწყოს დაბალი ზღვრიდან, რომელიც უკიდურესი სიღარიბის გამომხატველია. მოკლედ, არა მარტო უნდა გადაისინჯოს დღეს მოქმედი საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი, არამედ დადგინდეს უკიდურესად ღარიბთა კატეგორიის განსასაზღვრავი დონეც. ჩვენი აზრით, ასეთ დონედ მიჩნეულ უნდა იქნას საარსებო მინიმუმის 50 პროცენტი, ანუ ამჟამად მოქმედი საარსებო მინიმუმის 42,5 პროცენტი** [=(100-15)%:2]. ამ შემთხვევაში, საქართველოში უკიდურესად ღარიბია – საარსებო მინიმუმის ნახევარზე ნაკლები ფაქტობრივი ხარჯების დონით – ყოველი მეშვიდე-მერვე შინამეურნეობა.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ იმის შესახებ, თუ რატომაა აუცილებელი საარსებო მიმიმუმისა და სიღარიბის ცნებების ეტიმოლოგიური გამიჯვნა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საზოგადოების „ტრადიციული“ სამსაფეხურიანი დაყოფა სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფებად აღარაა საკმარისი და მდიდრებს, საშუალო ფენას და ღარიბებს, არსებული რეალობის გათვალისწინებით, აუცილებლად უნდა დაემატოს შეძლებულისა და ღატაკის კატეგორიები.

საარსებო მინიმუმი, როგორც ზემოთ ითქვა, უნდა გადაისინჯოს და დღევანდელ დონესთან შედარებით 15-17 პროცენტით მაინც შემცირდეს. **რაც შეეხება სიღარიბის დონეს, იგი, შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით ახალ, „კორექტირებულ“ საარსებო მინიმუმს, ჩვენი აზრით, სულ ცოტა, 3-ჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს.** ვისი შემოსავალი და ხარჯები საარსებო მინიმუმს სამჯერ მაინც არ აღემატება, ყველა ღარიბია. მაგრამ, ვისაც ეს შემოსავალ-ხარჯები აქვს საარსებო მინიმუმიდან ამ მიმინიმუმის სამმაგ დონემდე, ისინი უბრალოდ ღარიბები არიან (შეფარდებითი ღარიბები ანუ სოციალურად ღარიბები). ვისაც საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლები და ხარჯები აქვთ, ისინი მართლა ღარიბები, ანუ აბსოლუტური ღარიბები არიან. ამ კონტინგენტიდან, ისინი, ვისაც შემოსავალი და ხარჯები საარსებო მინიმუმის ნახევარზე ნაკლები აქვთ, შეიძლება ღატაკთა (ფაქტობრივად, უქონელთა, საზოგადოების მარგინალური ჯგუფის) კატეგორიას მივაკუთვნოთ. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ახალი, კორექტირებული (ახლანდელი დონის 85 პროცენტის დონეზე) საარსებო მინიმუმის ნახევარი უნდა ჩაითვალოს სიღატაკის ზღვრად. სწორედ ამ ზღვარს მიღმა „დარჩენილი“ კონტინგენტი უნდა გახდეს სახელმწიფოს მიზნობრივი მისამართული დახმარების ობიექტი.

საარსებო მინიმუმი უნდა იანგარიშებოდეს ფაქტობრივ, ამჟამინდელ დონესთან შედარებით, როგორც უკვე ითქვა, დაახლოებით 15-17 პროცენტით ნაკლები, ანუ, გადაყვანის კოეფიციენტი უნდა იყოს არა უმეტეს 0,85.

საშუალო დონედ უნდა მივიჩნიოთ მოხმარება, რომელიც „კორექტირებულ“ საარსებო მინიმუმს არანაკლებ 3-ჯერ და არა უმეტეს 6-ჯერ აღემატება.

ამ პრინციპით, შეძლებულთა კატეგორიას, ჩვენი აზრით, უნდა მიეკუთვნონ ოჯახები, რომელთა ფაქტობრივი ხარჯების დონე 6-12-ჯერ აღემატება „კორექტირებულ“ საარსებო მინიმუმს, ხოლო მდიდრებს („მდიდრის“, „სიმდიდრის“ კატეგორიების განსაზღვრაში სუბიექტური ფაქტორის უაღრესად დიდი როლისა და შესაბამისად, მაღალი პირობითობის გათვალისწინებით) ისინი, ვისი ხარჯებიც ზემოხსენებულ მაჩვენებელს 12-ზე მეტად აღემატება.

– ზემოხსენებულის ფორმალიზებისას, ამჟამინდელ საარსებო მინიმუმთან (P) შედარებით უნდა იყოს:

– ახალი საარსებო მინიმუმი: 0,85 P;

– ახალი სიღატაკის ზღვარი – 0,85PX0,5=0,425P (ამ ზღვარზე ნაკლები მოხმარების მქონე შინამეურნეობები მიეკუთვნებიან ღატაკთა კატეგორიას);

– შინამეურნეობები, რომელთა ფაქტობრივი მოხმარება ახალ სიღატაკის ზღვარს (ახალი საარსებო მინიმუმის ნახევარი - 0,425P) და ახალ საარსებო მინიმუმს (0,85 P) შორისაა – აბსოლუტური ღარიბები;

– სიღარიბის ზღვარი – 0,85 PX3=2,55 P;

– შინამეურნეობები, რომელთა ფაქტობრივი მოხმარება მოქცეულია ახალ საარსებო მინიმუმსა და ახალი საარსებო მინიმუმის სამმაგ დონეს შორის – სოციალურ, ანუ შეფარდებითად ღარიბი შინამეურნეობების კატეგორიას მიეკუთვნებიან.

– საშუალო დონე – 0,85X(3-6)P=2,55 P-5,10 P;

– შეძლებული – 0,85X (6-12)=5,10 P–10,2P;

მდიდარი – 10,2P<.

მოტანილი მონაცემები ადასტურებენ, რომ 2005 წლის მარტის დონის მიხედვით, საარსებო მინიმუმი საშუალო ოთხსულიან შინამეურნეობაზე (268 ლარი) უნდა გადავიანგარიშოთ – გავამრავლოთ 0,85-ზე. შესაბამისად, ასეთი შინამეურნეობისათვის საარსებო მინიმუმი შეადგენს 227,8 ლარს ($124,0-ს).

ამ თანაფარდობით სიღატაკის, საშულო დონის, შეძლებულობისა და სიმდიდრის თანხობრივი მიჯნები მოტანილია ქვემოთ მოტანილ ცხრილში (2005 წლის მარტის მდგომარეობით):

| | ყოველთვიური მოხმარების დონე შინამეურნეობაზე გაანგარიშებით, იმისათვის, რომ იგი მიეკუთვნოს ამა თუ იმ სოციალურ-ეკონომიკურ ჯგუფს | |
|---|---|---|
| | ლარებში | აშშ დოლარებში |
| ღატაკები | 113,9> | 62,0> |
| აბსოლუტურად ღარიბები | 113,9<227,8 | 62,0<124,0 |
| შეფარდებითად (სოციალური) ღარიბები | 227,8<683,4 | 124,0<372,1 |
| საშუალო ფენა | 683,4<1366,8 | 372,1<744,2 |
| შეძლებულები | 1366,8<2733,6 | 744,2<1488,4 |
| მდიდრები | 2733,6< | 1488,4< |

ამ კრიტერიუმებით, 2004 წლის ბოლოს საქართველოს შინამეურნეობათა 13,3 პროცენტი მიეკუთვნებოდა ღატაკთა კატეგორიას; მეოთხედზე მეტი – 25,8 პროცენტი – იყო აბსოლუტურად ღარიბი, მათზე თითქმის ორჯერ მეტი კი – 50,8 პროცენტი – სოციალურად ღარიბი. მოსახლეობის მხოლოდ 8,8 პროცენტი მიეკუთვნებოდა საშუალო ფენას, 1 პროცენტი – შეძლებულთა ფენას და 0,3 პროცენტი – მდიდრებს. ზემოთ მოტანილი კრიტერიუმებით, დღეისათვის **საშუალო ფაქტობრივი მოხმარების დონის მქონე შინამეურნეობა (დაახლოებით 400 ლარი თვეში) მიეკუთვნება არა საშუალო ფენას, არამედ შეფარდებითად (სოციალურად) ღარიბთა კატეგორიას და საშუალო ფენის სამომხმარებლო სტანდარტს, სულ ცოტა, 1,7-ჯერ მაინც ჩამორჩება.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, **დღევანდელი საშუალო მომხმარებელი მოხმარებული დოვლათის მოცულობით „ღარიბია“ და არა „საშუალო ფენის“ წარმომადგენელი.** უნდა ითქვას, რომ მიმდინარე შემოსავლების მიხედვით განსხვავებას ზემოხსენებულ ჯგუფებში მეტ-ნაკლებად შეესაბამება მათი განსხვავება დაგროვილი ქონების ელემენტებითაც, თუმცა ეს უკანასკნელი სხვა საუბრის თემაა.

მოტანილი მონაცემები ადასტურებს, რომ ქვეყანაში უაღრესად მაღალია ღარიბ-ღატაკთა – საშუალო და საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონეთა რაოდენობა. სიღარიბე ქვეყნისათვის არაა სოციალურად საშიში იმ შემთხვევაში, თუ საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოსახლეობის (შინამეურნეობების) რიცხვი არ აღემატება მათი საერთო რაოდენობის 15-20 პროცენტს და დროებით ხასიათს ატარებს, ანუ ამ ზღვრის მახლობლობაში მყოფი ოჯახები (ე. ი. ვისთვისაც სიღარიბის სიღრმე არ აღემატება 10-20 პროცენტს) გადაკვეთენ ამ ზღვარს ორივე მიმართულებით არა უმეტეს ერთი წლის პერიოდულობის შემთხვევაში. საქართველოში ფაქტობრივად ღარიბ შინამეურნეობათა რაოდენობა ამ დონეს, სულ ცოტა, სამჯერ აღემატება. მეორეს მხრივ, საქართველოში საშუალო ფენის წარმომადგენელთა რაოდენობა დაახლოებით შვიდჯერ დაბალია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოსახლეობაში შესაბამისი სოციალური ჯგუფის წილთან შედარებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყანაში დაწყებული სოციალური დახმარების პროგრამა უნდა წარიმართოს სწორედ ღატაკი მოსახლეობისთვის დახმარების აღმოსაჩენად, ასეთი შინამეურნეობების რაოდენობა კი 150 ათასზე მეტია.

ამრიგად, სიღარიბის დაძლევის სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტა ობიექტურად აყენებს საარსებო მინიმუმის ახალ სტანდარტზე გადასვლის და სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის შესაბამისი სამომხმარებლო კრიტერიუმის დადგენის აუცილებლობას. ყოველივე ეს მაღალი საზოგადოებრივი ჟღერადობის ამოცანების გადაწყვეტაში ქართველი მეცნიერი და პრაქტიკოსი ეკონომისტების (და არა მარტო მათი) აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას ქმნის...

**იოსებ არჩვაძე,**
**2005 წლის მაისი.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 112-113.**

⊙ გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– ვარ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. პენსიას ვიღებ 45 ლარის ოდენობით.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა დამატებით მეორე სახის პენსია?**

**ლერი ლექავა.**

– მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან რიგითთა შემადგენლობას, მეორე სახის პენსიის დანიშვნა საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 29 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად გათვალისწინებულია 2006 წლის 1 იანვრიდან.

**– გათანაბრებული ვარ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებთან. პენსიას ვიღებ თვეში 35 ლარის ოდენობით.**

**გთხოვთ, მიპასუხოთ, მეკუთვნის თუ არა ფულადი კომპენსაცია ელექტროენერგიის შეღავათის ნაცვლად?**

**ლამარა თავბერიძე.**

– ელექტროენერგიაზე შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის კატეგორიებს 2005 წლის 1 იანვრიდან ეძლევათ ფულადი კომპენსაცია სხვადასხვა ოდენობით. მათ შორის, ომის ვეტერანებთან გათანაბრებულ პირებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში ცხოვრობენ – ყოველთვიურად 8 ლარის ოდენობით, ხოლო ამავე კატეგორიის თბილისში მცხოვრებ პირებს – 12 ლარის ოდენობით თვეში.

**– ვარ პენსიონერი. მაქვს 50 წლის შრომის სტაჟი. პენსიას ვიღებ 28 ლარის ოდენობით. ვცხოვრობ მაღალმთიან რეგიონში.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორც მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებს, მეკუთვნის თუ არა რაიმე დანამატი პენსიაზე?**

**ოთარ კაციტაძე.**

– მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები პენსიონერებისთვის, პენსიაზე რაიმე სახის დანამატის დარიცხვა, სამწუხაროდ, არ არის გათვალისწინებული.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

⊙ საწარმო

# როდის მოვიშლით თურმაშაულის პატრონები პანტის მებნას?

## ნედლეული და ტექნოლოგია – ევროპული, პროდუქცია – ქართული

**ამას წინათ „ქართული ხარისხის“ ნიშანი გადაეცა შპს „გეოპლასტიკს“. აქამდე ამ საწარმოს არსებობის შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდით. დავინტერესდი და მის დირექტორს დავით წიქარიშვილს ინტერვიუ ვთხოვე.**

აეროპორტის გზაზე, „სემიონოვკის“ დასახლებისკენ გადავუხვიეთ. გული გამინათდა, როდესაც პოლიმერულ ნაკეთობათა საწარმო დავათვალიერე. თანამედროვე გერმანული ტიპის მანქანა-დანადგარები, ნათელი დარბაზი... სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები დინჯად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს.

– მართალი გითხრათ, – ამბობს ბატონი დავითი, – საწარმოს შექმნის იდეა ჩემი არ ყოფილა, მაგრამ ამ იდეის განხორციელებას ხორცი ჩვენ შევასხით. დამფუძნებლები ჩემი მეგობრები არიან. პირველი ხელშეკრულება ორი წლის წინათ გავაფორმეთ. დანადგარები დეკემბრის ბოლოს მივიღეთ. სანამ ის დავამონტაჟეთ და სხვა ორგანიზაციული საკითხები მოვაგვარეთ, რამდენიმე თვეც გავიდა. პირველი პროდუქცია შარშან აპრილის ბოლოს მივიღეთ, მაგრამ ბაზარზე დამკვიდრება უკვე მოვასწარით.

ჩვენთან ტექნოლოგიური პროცესები ავტომატიზებულია. თითქოს ყველაფერი იოლია, ღილაკზე თითს დააჭერ და მანქანაც ამუშავდება, მაგრამ ბევრი ნიუანსია, რომელიც მუშაობის დროს წარმოიქმნება და მას ყურადღება სჭირდება.

ლითონპლასტიკის კარ-ფანჯრის დამზადება ევროპაში ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან დაიწყო, ჩვენ მთელი 45 წელიწადით დავაგვიანეთ. ქვეყანას უჭირდა, რთული პერიოდი გავიარეთ, მაგრამ ღმერთის წყალობით გადავრჩით და გვინდა, არ ჩამოვრჩეთ ევროპას, ვცდილობთ, დავეწიოთ მას და კონკურენტუნარიანი პროდუქცია შევქმნათ.

დავით წიქარიშვილის თქმით, ქართულ საწარმოში დამზადებული პროდუქცია მოიწონეს ავსტრიელმა, სომეხმა, აზერბაიჯანელმა, თურქმა სპეციალისტებმა. მაგრამ რატომღაც ქართველები დიდად არ ეტანებიან, თურმე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის საქართველოში მზადდება. არადა, ჩემი აზრით, პირიქით უნდა იყოს. ადგილობრივი მრეწველობის განვითარება თუ გვინდა, ჩვენს ნაწარმს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა, როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია. გერმანელს მუდამ ურჩევნია, შეიძინოს საკუთარი პროდუქცია, რადგან იცის, რომ ამით იგი ხელს უწყობს მშობლიური ეკონომიკის აღორძინებას. მით უმეტეს, რომ ამგვარი მხარში დგომა ჩვენს ქვეყანას ჰაერივით სჭირდება. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ თბილისის პოლიმერულ ქარხანას, მიუხედავად ერთწლიანი არსებობისა, უკვე მრავალი სერტიფიკატი აქვს მიღებული, რაც ჩვენი ნაწარმის ვარგისიანობაზე მიუთითებს.

რატომ არ უნდა მოსწონდეს ვინმეს ჩვენი პროდუქცია? საწარმოში ლითონპლასტმასის დასამზადებლად ხომ გერმანულ ნედლეულს ვიყენებთ, ტექნოლოგიას კი – ევროპულს. ჩვენი მხოლოდ შრომა, წყალი, ჰაერი და მიწაა, რომლითაც ყველა ქართველი ასერიგად ამაყობს.

არჩევანი გერმანულ ნედლეულზე იმიტომ შეაჩერეს, რომ დამზადების დროს დანაკარგი ნაკლებია, ხოლო ხარისხი – გაცილებით უკეთესი.

წარმოება, რა თქმა უნდა, შრომატევადია და გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ ყველაფერი გაითვალისწინეს და საქმე ახლა საათივით აქვთ აწყობილი. ძნელი იყო ბუღალტრული სისტემის ნულიდან აწყობა, მაგრამ ესეც მაღალ დონეზე წარმართეს.

ასე რომ, შპს „გეოპლასტიკი“ თავის სახელწოდებას ამართლებს, „გეო“ ხომ საქართველოს საერთაშორისო კოდია.

საბოლოო პროდუქცია – ლითონპლასტმასის პროფილები საამწყობო საამქროებს გადაეცემა. ასეთი საამქრო კი თბილისში ბევრია და იქ ნებისმიერი ზომის კარ-ფანჯრებს ამზადებენ, რომლის ხანგამძლეობა 50 წელზე მეტია.

ჯერჯერობით ამ ნაწარმზე მომხმარებელთა დიდი მოთხოვნილება არ არის, მაგრამ, იმედია, იგი თანდათანობით გაიზრდება. დღესდღეობით დაინტერესებას თბილისში უფრო ოფისების ხელმძღვანელები იჩენენ. მართლაც, ვისაც სურს, იზოლირებული იყოს ხმაურისგან, ჰქონდეს ლამაზი თეთრი და ქათქათა კარ-ფანჯარა ან მოხერხებული ტიხარი, მან სწორედ რომ, თბილისის პოლიმერულ ნაკეთობათა საწარმოს პროდუქცია უნდა შეიძინოს.

ზამთარში რა სჯობს ორმაგ ფანჯარას, როცა ღრიჭოდან ქარი არ უბერავს, მინები არ იორთქლება და ოთახში ნორმალური ტემპერატურაა. ასეთ პირობებში მუშაობაც სახალისოა.

მომავალში აქ ბევრი სიახლის განხორციელება სურთ. საწარმოში აპირებენ მზა თაღების დამზადებას, ასევე ნარჩენებისგან სხვადასხვა სახეობის მეორადი პროდუქციის გამოშვებას.

მთავარია იყოს მომხმარებლის მხარდაჭერა და ადგილობრივი ნაწარმისადმი ნდობა. ეს საწარმოს ბევრს შეაძლებინებს.

**ლალი ქინქლაძე.**

⊙ თაღლითობა

# ფულს იღებდა, უკან კი აღარ აბრუნებდა

**შარშან ივნის-დეკემბრის პერიოდში თბილისში, გურამიშვილის ქუჩაზე მცხოვრებმა მარინა ჭკადუამ ზ. ჯიქურაშვილის თანხები მიითვისა.**

საქმე ის არის, რომ შპს „მაგთიკომს“ და ინდსაწარმო „ზემილ ჯიქურაშვილს“ შორის 2001 წლის 10 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ზ. ჯიქურაშვილი ბაქოს ქუჩაზე მდებარე „მაგთიკომის“ დილერებთან ურთიერთობის განყოფილებიდან, ნაღდი ანგარიშსწორებით, იღებდა მის მონობარათებს და მათ შემდგომ ასაღებდა.

შარშან ივნისში ზ. ჯიქურაშვილმა გაიცნო მ. ჭკადუა და გადაწყვიტა, მისი დახმარებით გაეყიდა შპს „მაგთიკომიდან“ მიღებული მონობარათები. პარალელურად ზ. ჯიქურაშვილმა მ. ჭკადუასგან შეიტყო, რომ მას ლომბარდიდან შეეძლო ოქროს ჯართის დაბალი ფასით გამოტანა და მისი მაღალი ფასით გაყიდვა, რაც, ცხადია, შემოსავლის წყარო შეიძლებოდა გამხდარიყო. მაგრამ, მ. ჭკადუას სარფიანი საქმის წამოწყებას სწორედ საწყისი კაპიტალის უქონლობა ამუხრუჭებდა. ზ. ჯიქურაშვილი დათანხმდა მ. ჭკადუას თხოვნას, – მისთვის გარკვეული თანხა ესესხებინა, რისთვისაც ივლის-სექტემბერში სხვადასხვა ლომბარდიდან ოქროს ჯართის შესაძენად 3500 ლარი გადასცა.

ივლის-ნოემბერში ზ. ჯიქურაშვილს შპს „მაგთიკომიდან“ გამოჰქონდა მონობარათები და მათ სარეალიზაციოდ მ. ჭკადუას აძლევდა, რომელიც შემდგომ გარკვეულ თანხებს უკან უბრუნებდა.

მოკვლევისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში, ზ. ჯიქურაშვილმა განაცხადა, რომ ოქროს ჯართის შესაძენად და მონობარათების სახით მან მ. ჭკადუას დაახლოებით 11 ათასი ლარი გადასცა, რომლის გასტუმრებას ეს ქალბატონი აჭიანურებდა, ხოლო შარშან ნოემბერში სულაც „ახარა“, რომ კუთვნილ თანხას უკან ვერ დაუბრუნებდა, ერთ მშვენიერ ღამეს, ტაქსით მგზავრობის დროს, გამძარცვესო. მას ამის შესახებ პოლიციაში არ განუცხადებია. ცხადია, ასეთი „პასაჟი“ ზ. ჯიქურაშვილს არაფრით არ აწყობდა და ფულის მისაღებად რამდენჯერმე ესტუმრა ახლობლებთან ერთად მ. ჭკადუას, მაგრამ უშედეგოდ.

ასევე დადგინდა, რომ მაის-ნოემბრის ჩათვლით მ. ჭკადუა თაღლითური გზით დაეუფლა თბილისში, ვარკეთილში მცხოვრები თინათინ ბეგიაშვილის 5880 დოლარსა და ოქროს ნივთებს.

გარდა ამისა, მ. ჭკადუამ ერთობლივი ბიზნესის წამოწყების საბაბით მოტყუებით მიითვისა თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე მცხოვრები ლილი ნიკურაძე-ლილუაშვილის 2900 დოლარი და 500 ლარი. მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა, მას ფული პატრონისთვის არ დაუბრუნებია.



ამავე დროს, მ. ჭკადუამ, ვინმე მაია აბესაძის განმარტებით, – „ითამაშა“ ლატარია, რომელსაც ამ უკანასკნელის 250 ლარი „შეეწირა“.

ერთობ საინტერესოა, რომ თავად მარინა ჭკადუა სავსებით ადასტურებს ზ. ჯიქურაშვილის, თ. ბეგიაშვილის, ლ. ნიკურაძე-ლილუაშვილისა და მ. აბესაძის ახსნა-განმარტებებს და მათგან ამ თანხების მიღებას, თუმცა ფულის უკან დაუბრუნებლობის მიზეზად, როგორც აღვნიშნეთ, შარშან ოქტომბერში მასზე ტაქსში მგზავრობისას განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმას ასახელებს.

იმის გამო, რომ მოკვლევისას მოპოვებულ მასალებში საკმაოდ არსებობს დანაშაულის შემცველი ნიშნები, სსკ-ს 180 მუხლის მე-2 ნაწილით ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოში მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

**ოთარ ტურაბელიძე.**

⊙ ინფორმაცია

## სამსახურიდან გათავისუფლებას აპროტესტებენ

**საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლები საჯარო სამსახურებიდან თანამშრომლების გათავისუფლებას აპროტესტებენ.**

**სამსახურიდან გათავისუფლებული დეპარტამენტის 30 თანამშრომლიდან 21-ს საკუთარი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეაქვს. ისინი საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის ზურაბ ანთელიძის ბრძანების გაუქმებას და სამსახურში აღდგენას მოითხოვენ. მოსარჩელეთა ინტერესებს სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატები დაიცავენ.**

**როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ადვოკატმა მანანა კობახიძემ განმარტა, ყველა თანამშრომელი კანონის უხეში დარღვევით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობებიდან.**

**საქმე ეხება მიმდინარე წლის 19-22 აპრილს საბაჟო-გამშვებ პუნქტ „წითელ ხიდზე“ გამოვლენილ დარღვევებს. საბაჟოს ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ მოხდა კანონის დამრღვევი თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლება, თუმცა, როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, სამსახურიდან ის პირები დაითხოვეს, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში სამსახურში საერთოდ არ იმყოფებოდნენ და ოთხი მათგანი ავადმყოფობის გამო ბიულეტენზე იყო გასული.**

**ამასთან, როგორც „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ოფისში მოწვეულმა მებაჟეებმა განაცხადეს, მათ საბაჟოს ხელმძღვანელობამ არ გააცნო ის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ისინი სამსახურიდან გაათავისუფლეს.**

## ფინანსთა მინისტრი ინფორმაციას ადასტურებს

**ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან თანხების გადახარჯვას ადასტურებს, მაგრამ გადახარჯული სახსრების მოცულობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს.**

**ამის შესახებ განცხადება გუშინ ფინანსთა მინისტრმა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე მას შემდეგ გააკეთა, რაც მას პრეზიდენტის ფონდიდან თანხების გადახარჯვის შესახებ განმარტებები „მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ მოსთხოვა.**

**ჩეჩელაშვილის განცხადებით, საპრეზიდენტო ფონდიდან თანხების გადახარჯვა ობიექტური პირობების გამო მოხდა და მიუხედავად იმისა, რომ ფინანსების ხარჯვაზე ფინანსთა სამინისტროა პასუხისმგებელი, ეს ის შემთხვევებია, როდესაც პასუხისმგებლობას ფინანსთა სამინისტრო თავის თავზე ვერ აიღებს.**

**ობიექტური მიზეზების დაზუსტებისგან მინისტრმა ასევე თავი შეიკავა.**

## მხარს უჭერენ რწმუნებათა ფონდების გაუქმებას

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პარლამენტის წინაშე ახალი კანონპროექტით წარსდგება, რომელიც პრეზიდენტის რწმუნებულთა ფონდების გაუქმებას ითვალისწინებს. ამის შესახებ გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა განაცხადა.**

**მისი თქმით, ფინანსთა სამინისტრო ეთანხმება პოლიტიკურ წრეებში არსებულ წინადადებებს, პრეზიდენტის რწმუნებულების ფონდების გაუქმების შესახებ და შესაბამისი კანონპროექტით იგი უახლოეს ხანებში პარლამენტის წინაშე წარსდგება.**

**ჩეჩელაშვილი მიესალმა მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის ვასილ მაღლაფერიძის ინიციატივას, პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის გაუქმებასთან დაკავშირებით, რომელმაც, მას შემდეგ, რაც ამ რეგიონში რწმუნებულად დაინიშნა, თავად გააუქმა რწმუნებულის ფონდი.**

**მისივე თქმით, ფინანსთა სამინისტრო მთავრობასთან ერთად უახლოეს პერიოდში ყველა ღონეს იხმარს იმისათვის, რომ სახელმწიფო მოხელის მინიმალური ხელფასი 115 ლარამდე ყველა ეტაპზე გაიზარდოს.**

## ტყემალაძე მაინც უკმაყოფილოა

**„მემარჯვენე ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვასთან დაკავშირებით კონტროლის პალატის დასკვნა „ზედმეტად ლიბერალურია“. ამის შესახებ ტყემალაძემ გუშინ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.**

**დეპუტატის განმარტებით, მას, როგორც საქართველოს რიგით მოქალაქესა და პარლამენტარს ახარებს მთავრობის მიერ გაწეული მუშაობა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის ზრდასთან დაკავშირებით, მაგრამ „ეს ზრდა და წარმატება არავის აძლევს კანონის დარღვევის უფლებას“.**

**ტყემალაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის შესრულებასთან და თანხების მობილიზებასთან დაკავშირებით წარმატება აშკარაა, მთავრობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს ჯერ კიდევ მრავლად არსებული დარღვევების აღმოსაფხვრელად.**

**ტყემალაძის ინფორმაციით, სოციალური დაზღვევის ფონდმა ბიუჯეტს 15 მლნ. ლარი დააკლო, ენერგეტიკის სამინისტრომ - 26 მლნ. ლარზე მეტი, შს სამინისტროს სპეცსამსახურებმა ბიუჯეტს ასევე მნიშვნელოვანი თანხები დააკლო და კვლავაც ხელისუფლების რეაგირების გარეშე რჩება ბენზინის იმპორტზე არასაკმარისი კონტროლი.**

## გაიგე, გოგი, ქართული კინო ხელისუფლებას არ სჭირდება!..

**ქართველი კინორეჟისორები კინოს დღის ოფიციალურად დაწესებას მოითხოვენ.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კინორეჟისორმა, თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორმა გოგი დოლიძემ განაცხადა, ტელესტუდია „ქართული ფილმი“ და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მოღვაწეები უკვე შვიდი წელია, უშედეგოდ ცდილობენ კინოს დღის დაარსებას. ამ მიზნით, მათ რამდენჯერმე მიმართეს კულტურის სამინისტროს, მაგრამ აღნიშნულ ინიციატივას არც ძველი და არც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გამოხმაურება არ მოჰყოლია.**

**დოლიძის თქმით, ქართველი რეჟისორები კინოს დღეს არაოფიციალურად ყოველწლიურად აღნიშნავენ. მათი განცხადებით, კინოს დღე ოფიციალურად 15 მაისს უნდა აღინიშნებოდეს, რადგან 1908 წლის 15 მაისი ქართული კინოს ისტორიის ათვლის დღედ ითვლება.**

**ინტერ-პრესი.**

⊙ მხატვრობა

# კიდევ მრავალი ტილო შეგექმნათ, ბატონებო!

**მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის ერთ-ერთ ამაღლებულ, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს თბილისის სამხატვრო კავშირმა შარშანდელი წლის საუკეთესო მხატვრები დაასახელა.**

— მხატვართა თბილისის ორგანიზაციის გამგეობის გადაწყვეტილებით, „წლის საუკეთესო მხატვრის" წოდებას ამის შემდეგ ყოველწლიურად მივანიჭებთ, — გვითხრა თბილისის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ დემურ ბაშალეიშვილმა. — ლაურეატებს ფულად პრემიასაც გადავცემთ, რომლის ოდენობა ყოველწლიურად, ჩვენი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, დადგინდება.

ბატონმა დემურ ბაშალეიშვილმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ „წლის საუკეთესო მხატვრის" წოდების მინიჭება, უწინარესად, შემოქმედთა მორალური მხარდაჭერაა, შემდგომი მუშაობისთვის ძლიერი იმპულსია.

ლაურეატები გახდნენ სახელოვანი ქართველი მხატვრები: **გიორგი თოთიბაძე, ზურაბ ხარაბაძე, ბუდუ სირბილაძე, ანზორ თორდია** და სხვები. მათი შერჩევის უპირველესი კრიტერიუმი კი თბილისის მხატვართა ორგანიზაციის მიერ მოწყობილ გამოფენებში აქტიური მონაწილეობა, შექმნილ ნამუშევართა მაღალი პროფესიონალიზმი იყო.

— საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ის ფულადი ჯილდო, რომელიც დასახელებულ მხატვრებს ლაურეატობის წოდების მინიჭებასთან ერთად გადაეცათ, ცნობილი ქართველი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის გოგი თოფაძის მხარდაჭერით მოხერხდა, რისთვისაც კიდევ ერთხელ საჯაროდ მადლობას ვუხდით, — აღნიშნა თბილისის მხატვართა კავშირის თავკაცმა.



**ოთარ ტურაბელიძე.**

**ზურაბ დათუაშვილის ფოტო.**

⊙ ეგზემპლარი — ერთადერთი!

# მართლაც უჩვეულო წიგნი

**ამ ოთხი წლის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა ჩემი ნარკვევი „სინდისითა და სუფთა ხელებით". ფაქტობრივად, ეს იყო გამოხმაურება სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურის მცხოვრებთა წერილზე, ქალაქის გამგეობა ვალერიან გეგეშიძის ქუჩისთვის სახელის გადარქმევას აპირებსო. მე უკვე ვიცნობდი ფრიად კოლორიტულ და საინტერესო პიროვნებას, ვალერიანის ვაჟიშვილს ბიძინა გეგეშიძეს, რომელიც პერიოდულ პრესაში დროის შესაბამისი სიმწვავით დამუხტულ წერილებს ხშირად აქვეყნებდა. სწორედ მისი დახმარებით მოვიძიე აუცილებელი მონაცემები იმ ნარკვევისათვის. დავძენ, რომ გაზეთის ჩარევის შემდეგ პრობლემა მოიხსნა — სამტრედიის ხელმძღვანელობამ ქუჩას სახელი შეუნარჩუნა.**





გამაოცა ვალერიან გეგეშიძის — ამ ახალგაზრდა კაცის ბიოგრაფიამ. ის 36 წლისაც არ იყო, როცა გარდაიცვალა. ადრეულ წლებშივე ეზიარა რევოლუციურ იდეებს (იმ დროს ვინ აღარ დაავადდა ამ ბაცილით!), აქტიურად მონაწილეობდა ახალი ტიპის სახელმწიფოს მშენებლობაში, პარტიის სამტრედიისა და ხაშურის რაიკომების მდივანიც იყო, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკიც, მაგრამ... რაც მეტი დრო გადიოდა, სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ არასწორი გზა აირჩია... წერდა კიდეც გულდაწყვეტილი, შევცდი, ჯობდა, ხარს და გუთანს მოვკიდებოდიო... არეული დრო იყო, ვინ ვის უთვალთვალებდა და იჭერდა, კაცი ვერ გაიგებდა! იქნებ ვალერიან გეგეშიძეც მოხვედრილიყო საშინელი მანქანის წნეხში, მაგრამ განგებამ არ ინება — 1831 წლის 14 იანვარს მძიმე სენმა იმსხვერპლა. ცხრა წლის შემდეგ მეუღლის ბედი გაიზიარა ქალბატონმა ოლია კიკაჩეიშვილმაც...

გეგეშიძეების ოჯახის ტრაგედია ამით არ დამთავრებულა. მძიმედ დაავადდა ბიძინას ერთადერთი და, თერთმეტი წლის მედეა და ისიც გაშორდა სამზეოს. „შენ მაინც იცოცხლე, ბიძინა", — ანდერძივით დაუბარა ძმას.

მადლობა ღმერთს, ბიძინა გეგეშიძე დღემდე ერთგულებს დაუვიწყარი დის თხოვნას. მან გრძელი და ღირსეული გზა გამოიარა. ქართული კულტურის მხურვალე პროპაგანდისტი მეგობრობდა მწერლებთან, მეცნიერებთან, ხელოვნების მუშაკებთან, წერდა რეცენზიებსა და გამოკვლევებს ახალ კინოფილმებზე, სპექტაკლებზე. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა კინოთეატრებს „რუსთაველსა" და „საქართველოს", ნაძალადევის კულტურისა და დასვენების პარკს. სისხლით და ხორცით ინტელიგენტს არც პრინციპულობა აკლდა და არც გულისხმიერება, ამიტომ დიდიც და პატარაც პატივს სცემდა. სწორედ ამ უანგარო მოღვაწეობისთვის მიენიჭა კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

ახლა იგი 28-ლარიან პენსიაზეა და უვლის ავადმყოფ მეუღლეს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე არ აკლებდა სითბოსა და მზრუნველობას. ამ ურთიერთგაგებაში ჩამოყალიბდა ერთი ჩვეულებრივი, მამა-პაპათა ტრადიციების მაღმერთებელი ოჯახი, რომლის დედაბოძი პაპა-ბებოს — ფარნაოზისა და თეოს ზღვარდაუდებელი სიყვარული იყო.

სამწუხაროდ, ვალერიან გეგეშიძის არცთუ რიცხვმრავალი ოჯახისგან მხოლოდ ერთმა — ბიძინამ მოაღწია დღემდე. სხვები, ზოგი ადრე, ზოგი გვიან, ერთმანეთის მიყოლებით გადავიდნენ მარადიულობაში...

ბიძინა გეგეშიძე — ეს გახლავთ ცხოვრებიდან უდროოდ წასული ნიჭიერი მამის, სულით და ხორცით პატრიოტი მამულიშვილის ღირსეული მემკვიდრე. იშვიათად შეგვეხმიანება ტელეფონით, კიდევ უფრო იშვიათად დაგვხედავს. ორიოდე სიტყვით მოგვეფერება და თითქოს ჩვენი დროის ბიუჯეტს უფრთხილდებაო, შინისაკენ გაიჩქარებს. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას კიდევ ერთხელ გულწრფელად გაგვაოცა ბატონმა ბიძინამ, როცა აკურატულად და გემოვნებით აკინძული წიგნი „მშობლიური სახელები" გადმოგვეცა. ეს არც რომანია და არც მოთხრობები — ეს არის წერილები, ინფორმაციები, ფოტოსურათებში მოქცეული ერთი ოჯახის ისტორია. არ ვიცი, ამ ზღვა მასალას რამდენი წლის მანძილზე აგროვებდა ბიძინა გეგეშიძე, როდის დაებადა ერთ კრებულში მათი თავმოყრის სურვილი, მაგრამ უზომო ენერგია რომ შეულევია, ეს კი ცხადია. წიგნის უნიკალურობა იმაშიც არის, რომ იგი ერთადერთი ეგზემპლარია! აუკინძავს ცნობილ პოლიგრაფისტს მიხეილ სავიდოვს. ბარაქალა, მართლაც რომ ოქროს ხელები ჰქონია.

ეს არ არის უბრალო წიგნი, ან ერთი ოჯახის ისტორია. მისი მნიშვნელობა სცილდება ამ ჩარჩოებს, ვინაიდან მოიცავს სრულიად სხვადასხვა ჟანრის და შინაარსის ზღვა მასალას ცხოვრებაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, კინოსა და თეატრზე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე. ვის აღარ შეხვდებით ამ წიგნში, შორეული წინაპრებიდან დაწყებული აგერ, გუშინ თუ გუშინწინდელ ამაგდარ მამულიშვილებს — აკაკი ხორავას, მიხეილ თუმანიშვილს, გიორგი ტოვსტონოგოვს, გალაკტიონს, სერგო ზაქარიაძეს, გიორგი შავგულიძეს, ბორის პაიჭაძეს, ვასო გოძიაშვილს, სპარტაკ ბაღაშვილს... ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება. მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ ბატონი ბიძინა იმ ხალხში ტრიალებდა, ვინც ჩვენი ქვეყნის სინდის-ნამუსს განასახიერებდა, ვის მაგალითებზეც თაობები იზრდებოდა.

**ამიტომ ვამბობ, ეს წიგნი ოჯახურ ჩარჩოებში ვერ ეტევა-მეთქი. ეს მთელი ქვეყნის ისტორიაა თავისი წარმატებებით და წარუმატებლობებით, სიხარულითა და ტკივილებით. გაივლის დრო და მას უზღავი ფასი დაედება. ახლა წარმოვიდგინოთ, საქართველოში, თუნდაც რამდენიმე ადამიანმა მაინც რომ მიბაძოს ბატონ ბიძინას, რა საშვილიშვილო განძს დავუტოვებთ შთამომავლობას! მით უმეტეს, რომ ახლანდელი ამღვრეული დროის გადამკიდე კაცი ვერ გამოიცნობს, რა იქნება ხვალ, ზეგ... მიმდინარეობები, შეფასებები, სიტუაციები კატასტროფულად იცვლება, რეალობა კი რეალობად რჩება...**

მე ასე მგონია. თქვენ?

**ელგუჯა ლეჟანიძე.**

**სურათებზე: მშობლები ვალერიანი და ოლია; ბიძინა გეგეშიძე.**


## არქიტექტურული კონკურსი

ქ. თბილისის მერია და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი აცხადებს ადგილობრივი მნიშვნელობის კონკურსს ქ. თბილისში სააკაძის მოედნის ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობისა და შრომის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სავაჭრო და საოფისე შენობის ესკიზურ პროექტზე.

კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონკურსო პროგრამა და პირობები გაიცემა 2005 წლის 11-დან 24 მაისამდე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირში. აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული, ნუგზარ ღუღუჩავასთან.

**ტელეფონი: 22.74.02 96.86.58**

**ფაქსი: 95.99.87 ელ-ფოსტა:** archunion_geo@yahoo. com


# განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი: ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობა, მ.შ. ონკოინკურაბელური პაციენტების პალიატიური მზრუნველობა ქ. თბილისში;

II ლოტი: ნეიროონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობა;

III ლოტი: მოზრდილთა ონკოჰემატოლოგია ქ. თბილისში;

IV ლოტი: ბავშვთა ონკოჰემატოლოგია ქ. თბილისში;

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა 2005 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი – დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 1 ივნისიდან 3 ივნისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

**5.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

**5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ლიცენზია (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერტიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერტიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

***პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში,*** ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში ***(საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად).***

***პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:***

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს ტენდერში მონაწილეობა მიიღოს ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 4 ივნისიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

16. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: **ლალი დევიძე, ქეთევან ხარაძე** ტ. 69-48-71, 69-65-90, მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: ProcurementGe@yahoo.com

**სატენდერო კომისია.**

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფთიზიატრიული დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:.

I ლოტი: DOTS სოციალური მეურვეობის სამსახური ქ. თბილისში;

II ლოტი: რეფერენს კონტროლი;

III ლოტი: პროგრამის სუპერვიზია;

IV ლოტი: დევნილთა საკურორტო მომსახურება.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა 2005 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი – დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 1 ივლისიდან 3 ივლისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

**5.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

**5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) I, II და IV ლოტებში მონაწილეობის მსურველმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ლიცენზია (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერტიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

გ) II და IV ლოტებში მონაწილეობის მსურველმა ჰიგიენური სერტიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე და საკვალიფიკაციო მონაცემები წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) მონაწილე პირის დასახელება და იურიდიული რეკვიზიტები;

გ) მომსახურების აღწერილობა, გასაწევი მომსახურების ვადები და შედეგები;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) I, II და IV ლოტში მონაწილეობის მსურველმა დამატებით უნდა წარმოადგინოს პროგრამის მიხედვით მოსამსახურებელ პაციენტთა შესაძლო მაქსიმალური რაოდენობა.

თ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 4 ივნისიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტში წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

16. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: **ლალი დევიძე, ქეთევან ხარაძე, თინათინ ხეჩინაშვილი**. ტ. 69-48-71, 69-65-90, მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: ProcurementGe@yahoo.com

**სატენდერო კომისია.**

# განცხადებები ღია ტენდერების ჩატარების შესახებ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ქ. თბილისი, 0160, კ.გამსახურდიას გამზ. №30), აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს „სოციალური სფეროს ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური რეფორმის ხელშეწყობის 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის" – სტრატეგიული მნიშვნელობის დაწესებულებათა რეაბილიტაციის, სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების და სამედიცინო რეზერვების მართვის კომპონენტის ფარგლებში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კუთვნილი სამედიცინო საქონლის და მარაგების მიღება, შენახვასა და მიწოდებაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

***შესასყიდი მომსახურება:*** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კუთვნილი სამედიცინო საქონლის და მარაგების მიღება, შენახვა და მიწოდება.

***მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები*** – 2005 წლის მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

***მომსახურების გაწევის ადგილი*** – ქ. თბილისი (მიმწოდებლის მისამართზე).

ტენდერში მონაწილეობისთვის მოწვეულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 30-დან 31 მაისის 16 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა – სასამართლო ორგანოდან;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე – სასამართლო ორგანოდან;

ბ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

გ) საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

დ) უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება:

ე) ლიცენზია მედიკამენტებისა და სამკურნალწამლო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე;

ვ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

ზ) ინფორმაცია მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და სამედიცინო აღჭურვილობის შენახვისათვის აუცილებელი – სასაწყობე მეურნეობისა და ტექნიკური საშულებების შესახებ.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემებით გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ, დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ **2005 წლის 6 ივნისის 17 საათამდე,** მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ, №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადებები მიიღება ქართულ ენაზე, **2005 წლის 10 ივნისის 17 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შალვა ბადაშვილი, ნათია ოდიშარია, მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ოთახი №425, ტელ: 38-78-83.**

---

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ქ. თბილისი, 0160, გამსახურდიას გამზ. №30), აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს „სოციალური სფეროს ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური რეფორმის ხელშეწყობის 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის" – სტრატეგიული მნიშვნელობის დაწესებულებათა რეაბილიტაციის, სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების და სამედიცინო რეზერვების მართვის კომპონენტის ფარგლებში, ახალი სამედიცინო აღჭურვილობისა და ინვენტარის შესყიდვაზე (მათი ადგილზე მიწოდება, სამონტაჟო სამუშაოების შესრულება, სამედიცინო პერსონალის სწავლება, თანმდევი სამედიცინო მომსახურება, საგარანტიო მომსახურება) და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

***შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:***

1. იმუნოფერმენტული ანალიზატორი და რეაქტივები;
2. გაზთა ცვლის ანალიზატორი.

***მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები*** – 2005 წლის ივნისიდან 2005 წლის 25 აგვისტომდე.

***მიწოდების ფორმა და ადგილი*** – DDP, ქ. თბილისი.

ტენდერში მონაწილეობისათვის მოწვეულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 30-დან 31 მაისის 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა – სასამართლო ორგანოდან;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე – სასამართლო ორგანოდან;

ბ) საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

გ) ინფორმაცია ანალოგიური მიწოდების შესახებ.

დ) მწარმოებელი ფირმის ავტორიზაცია;

ე) ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ (ფულადი სახსრები, საკრედიტო საშუალებები);

ვ) ლიცენზია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციაზე და ტექნიკურ მომსახურეობაზე;

ზ) ლიცენზია თანმდევი მომსახურებით გათვალისწინებულ სამედიცინო საქმიანობაზე – საჭიროების შემთხვევაში;

თ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

ი) სუბ-კონტრაქტორების მიერ განსახორციელებელი მიწოდება (საჭიროების შემთხვევაში):

| განსახორციელებელი მიწოდების სახე | სუბ-კონტრაქტორის წილი | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური ხელშეკრულების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|---|
| 1. | | | |
| 2. | | | |

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ **2005 წლის 6 ივნისის 17 საათამდე,** მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ, №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადებები მიიღება ქართულ ენაზე, **2005 წლის 10 ივნისის 17 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შესაძლებელია შეიცავდეს შესასყიდი საქონლის ყველა ან ცალკეულ პოზიციებს. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ალტერნატიული წინადადებები.

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შალვა ბადაშვილი, ნათია ოდიშარია, მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ოთახი №425, ტელ: 38-78-83.**

---

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (თბილისი, 0160, კ.გამსახურდიას გამზ. №30), აცხადებს ღია ერთეტაპიან ტენდერს „სოციალური სფეროს ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური რეფორმის ხელშეწყობის 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის" – სტრატეგიული მნიშვნელობის დაწესებულებათა რეაბილიტაციის, სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების და სამედიცინო რეზერვების მართვის კომპონენტის ფარგლებში პაციენტთა ჰოსპიტალამდელ და ჰოსპიტალურ ეტაპზე დახმარებისათვის (50 დაზარალებულზე და 100 დაზარალებულზე) დადგენილი მარაგის შესავსებად მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნების და სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი და რაოდენობა: მედიკამენტები, სამედიცინო დანიშნულების საგნები და სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობები (50 დაზარალებულზე და 100 დაზარალებულზე).

მომსახურების გაწევის ვადები – მომსახურება უნდა განხორციელდეს 2005 წლის მაისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით.

მიწოდების ადგილი – განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ტენდერში მონაწილეობისათვის მოწვეულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 30-დან 31 მაისის 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა – სასამართლო ორგანოდან;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე – სასამართლო ორგანოდან;

ბ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

გ) საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები);

დ) უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება:

| № | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| - | | | |

ე) ლიცენზია სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობების რეალიზაციაზე;

ვ) ლიცენზია მედიკამენტებისა და სამკურნალწამლო საშუალებების საბითუმო რეალიზაციაზე;

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემებით გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ, დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ **2005 წლის 6 ივნისის 17 საათამდე**, მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ, №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო წინადადებები მიიღება ქართულ ენაზე, **2005 წლის 10 ივნისის 17 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.

ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: შალვა ბადაშვილი, ირმა მარზიშვილი მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ოთახი №425, ტელ: 38-78-83.**

---

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (ქ. თბილისი, 0160, გამსახურდიას გამზ. №30), აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, „სოციალური სფეროს ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური რეფორმის ხელშეწყობის 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის" – მეცნიერების და განათლების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო სფეროს საკადრო და სამეცნიერო პოტენციალის კვლევისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესასყიდად შემდეგი ლოტების მიხედვით:

1. საქართველოში რეგიონების მიხედვით კვალიფიციურ სამედიცინო კადრებზე რეალური მოთხოვნილების შეფასება;
2. სამედიცინო-ბიოლოგიური პროფილის საუკეთესო მიმდინარე კვლევის გამოვლენა.

***მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები*** – 2005 წლის მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

***მიწოდების ადგილი*** – ქ. თბილისი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ტენდერში მონაწილეობისათვის მოწვეულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 30-დან 31 მაისის 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0160, კ. გამსახურდიას გამზ. №30, მე-4 სართ., №425 ოთახი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**იურიდიული პირისთვის:**

1. ცნობა სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ;
2. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
4. ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;
5. მონაცემები პროექტში მონაწილე კადრების კვალიფიკაციისა და მუშაობის სტაჟის შესახებ.

**ფიზიკური პირისთვის:**

1. ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;
2. ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:**

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ცნობები სასამართლოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის გაკოტრების ან საქმის წარმოებაზე სანაციის არარსებობის შესახებ;
3. ინფორმაცია მსგავსი შინაარსის სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის შესახებ.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ, დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს და 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის პრეტენდენტებს შეეძლებათ ტენდერის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, რაც დამატებით ეცნობებათ პრეტენდენტებს.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება (ალტერნატიული სატენდერო წინადადება არ მიიღება) ღირებულების გარეშე. საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვის შემდეგ მოხდება შერჩეული პრეტენდენტების პირველადი სატენდერო წინადადებების განხილვა.

სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, პირველად სატენდერო წინადადებაში უნდა იქნას დაკონკრეტებული მის მიერ განსახორციელებელი მომსახურება.

ტენდერში წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადებები ლოტების შესაბამისად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

***ლოტი 1.*** საქართველოში ყოველწლიურად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს ახალგაზრდა კადრების სახელმწიფოს ხარჯით რეზიდენტურაში მომზადებისათვის. ამასთანავე, საკონკურსო სპეციალობების ჩამონათვალი და შესაბამისი ადგილების რაოდენობა უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერულად დასაბუთებულ მონაცემებს ასეთ კადრებზე მოთხოვნის თაობაზე.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს ხედვას იმ მეთოდიკის თაობაზე, რითაც პრეტენდენტი აპირებს ასეთი მოთხოვნის (მოთხოვნილების) გამოკვლევასა და შეფასებას.

***ლოტი 2.*** ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, საკმაოდ გართულებულია სამეცნიერო კვლევათა ფინანსური ხელშეწყობა. ამასთანავე, ის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურები, რომლებიც ამჟამად განაგრძობენ ფუნქციონირებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სააქციო საზოგადოებების ან სახელმწიფო შპს-ების სახით მოკლებულნი არიან ერთიან ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ ხელშეწყობას ამ მიმართულებით. მნიშვნელოვანია განხორციელდეს აღნიშნულ ორგანიზაციებში იმ რეალურად პერსპექტიული სამეცნიერო კვლევების გამოვლენა, რომლის მიმართაც სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ფინანსური ხელშეწყობის უზრუნველყოფისათვის (ფინანსების მოზიდვისათვის).

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს ხედვას იმ მეთოდიკის თაობაზე, რომლითაც პრეტენდენტი განახორციელებს ამჟამად მიმდინარე (ან დაგეგმილი) საუკეთესო სამეცნიერო კვლევების შერჩევას.

ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან – შალვა ბადაშვილი, ნათია ოდიშარია, მისამართზე: 0160 ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. №30, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, IV სართული, 425 ოთახი. ტ: 38-78-83.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 114. კვირა, 15 მაისი, 2005 წელი.

# ყველაფერი ყველაფერზე

## [illegible] ტრამვაის

**ავსტრალიელმა თინეიჯერმა ერთ-ერთი დეპოდან გაიტაცა ტრამვაი და ქალაქში დაასეირნებდა მგზავრებს, რომლებიც ვერც კი იფიქრებდნენ, რომ გატაცებული ტრანსპორტით მოგზაურობდნენ.**



ტრამვაი მელბურნის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად და ტურისტების ყველაზე საყვარელ გადაადგილების საშუალებად ითვლება. 15 წლის „თავგადასავლების მაძიებელმა" ქალაქის დეპოდან გაიტაცა ტრამვაი, და ჩასვა მასში რამდენიმე მგზავრი. პოლიციელებმა შეძლეს მოზარდის დაკავება, მათ ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტეს ტრამვაის ხაზს, მაგრამ ყოველივე ეს მოხდა მას შემდეგ, რაც საგზაო ხულიგანმა ქალაქის ქუჩებში 19 მილის გავლა შეძლო. საბედნიეროდ, ასეთ „მოგზაურობას" არანაირი ზიანი არ მიუყენებია არც მელბურნისთვის და არც ქალაქის მცხოვრებლებისთვის.

როგორც გაირკვა, ყმაწვილმა სამი კვირის წინათ მოიპარა დეპოს გასაღები და აღიარა, რომ ორი დღის წინაც გააკეთა ასეთი „ფოკუსი", თუმცა, მაშინ არავის არაფერი არ შეუნიშნავს. ახლა ამ ყმაწვილს მოუწევს სასამართლოს წინაშე გამოცხადება, სადაც მას ბრალს წაუყენებენ სატრანსპორტო საშუალების გატაცებისა და ადამიანების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების გამო.

## პლანტიოქსი დაგიცავს კიბოსგან

**პლანტიოქსი რუსი და სკანდინაველი მეცნიერების ერთობლივი ნამუშევარია და მას ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში. პლანტიოქსის შემადგენლობა უნიკალურია, მასში შედის 23 ინგრედიენტი, რომელთაგან 18 ბიოლოგიურად აქტიურია. აქტიური კომპონენტების გამოთავისუფლება ხდება 10-20 წუთის განმავლობაში და ეს აიძულებს „უჯრედის ტუმბოებს" გამოდევნონ ორგანიზმიდან კანცეროგენები და ტოქსინები, რასაც დადებითი შედეგი მოაქვს.**

პლანტიოქსი არის მოლეკულურ დონეზე მთელი ორგანიზმის გაწმენდის მძლავრი საშუალება. იგი თავიდან აგვაცილებს დაავადების პირველ მიზეზებს და არა მისი განვითარების შედეგებს.

პლანტიოქსი წარმატებით გამოიყენება ისეთი დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკის დროს, როგორიც არის ფარისებრი ჯირკვლის კვანძები, კუჭ-ნაწლავის პოლიპები, სხვადასხვა ეტიოლოგიის თიაქარი, მიომა, ენდომეტრიოზი, ქრონიკული პროსტატიტი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, ხელს უშლის კატარაქტის განვითარებას.

– წარმატებით ვიყენებ ჩემი პაციენტების სხვადასხვა გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობის დროს პრეპარატ პლანტიოქსს, – თქვა ექიმმა გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგმა ო. ა. სმირნოვამ. – ეს პრეპარატი ჩინებულ შედეგს იძლევა მისი მიღებიდან ორი თვის შემდეგ.

ამ პრეპარატით მკურნალობის სტაბილურ შედეგებს ადასტურებს, ასევე, ექიმი-უროლოგი ე. მ. ლივორსკი.

## ალკოჰოლიზმი? გამოსავალი არის!

**მკითხავებით, შელოცვით, კოდირებით, ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია. და ეს არ არის მსმელი ადამიანის დანაშაული.**



ეს მისი უბედურებაა! „ჰელპფასტი" არის უნიკალური კომპლექსი ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, რომელიც მოქმედებს ერთბაშად რამდენიმე მიმართულებით. ამ პრეპარატის წყალობით, ადამიანი თავს ანებებს გაბმით სმას, მას უვითარდება ზიზღის გრძნობა სპირტიანი სასმელისადმი, ნელ-ნელა ნორმალური ხდება მისი ფსიქიკური მდგომარეობა.

## შექსპირის პორტრეტი სამი საუკუნით ახალგაზრდაა

**ისტორიკოსებს დიდი ხანია მოსვენებას არ აძლევს შექსპირის პორტრეტის წარმოშობა, რომელსაც ყოფილი მფლობელის სახელის მიხედვით, „ფლაუერის პორტრეტს" უწოდებენ. სურათზე გამოსახული იყო ციფრი „1609", მაგრამ ექსპერტებს არ სჯეროდათ, რომ ტილო დიდი დრამატურგის სიცოცხლის წლებში შეიქმნა. ახლა კი ლონდონის ეროვნული პორტრეტული გალერეის თანამშრომლები დარწმუნებული არიან, რომ ეს XIX საუკუნის პირველი ნახევრის სიყალბეა.**



შექსპირის სურათების ანალიზი გამოფენის „შექსპირის ძიებებში" წინ ჩატარდა, რომელიც გალერეის 150 წლისთავისათვის არის მისადაგებული (საგაისოდ). ამ გამოკვლევის მსვლელობისას ექსპერტებმა შეისწავლეს აგრეთვე კარგად ცნობილი „ჩანდოსის პორტრეტი" და „გრაფტონის პორტრეტი". რაც შეეხება XVI ასწლეულის ყრმიანი მადონას გამოსახულების ზემოდან დახატულ „ფლაუერის პორტრეტს", მასზე ოთხი თვის განმავლობაში მუშაობდნენ. გამოირკვა, რომ სურათის დახატვისას გამოყენებული ქრომის ყვითელი საღებავი 1814 წელს იყო დამზადებული.

სამეფო შექსპირის დასის კურატორის დევიდ ჰაუელსის სიტყვებით, „ფლაუერის პორტრეტი" შესაძლებლობას გვაძლევს, რომ ღრმად ჩავწვდეთ დიდი დრამატურგისადმი ინტერესის იმ აღორძინებას, რომელმაც საზოგადოება მოიცვა XIX საუკუნეში. „ახლა ჩვენ ვიცით სიმართლე და შეგვიძლია ნამუშევრის შეფარდება მის ნამდვილ ისტორიულ კონტექსტთან – შექსპირის სხვა სურათებთან და იმ დიდებულ ნიმუშებთან, რომლებიც გვაქვს სტრაფორდში, ჩვენს კოლექციაში", – ამბობს ის.

## [illegible] ამერიკელი [illegible]

**საბავშვო მწერალი ფრანკ ლე კალვეზი, რომელიც ბრალს სდებდა პლაგიატში დისნეის მულტფილმის „ნემოს ძებნაში" ავტორებს, თაღლითობაში დამნაშავედაა მიჩნეული. ფრანგი კალმოსნის სარჩელში ნათქვამი იყო, რომ ლენტის მთავარი პერსონაჟი გადახატულია მისი ნარინჯისფერ-თეთრი თევზ-მასხარა პიეროსაგან.**




საფრანგეთის სასამართლო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნემო დღის სინათლეზე პიეროზე ადრე გამოჩნდა. უფრო მეტიც, მწერალმა იცოდა ამერიკული მულტიპლიკაციური თევზუნას არსებობა, როცა თავის გმირზე მუშაობდა. მესარჩლეს მოუწევს 61 ათასი ევროს კომპენსაციისა და სასამართლო ხარჯების გადახდა.

ასეთივე საქმე ლე კალვეზმა უკვე წააგო, თანაც სულ ახლახან. მარტში სასამართლომ დაადგინა, რომ ორი თევზი მართლაც ჰგავს ერთმანეთს: ორივე ფართოდ გაღიმებულია და სამ-სამ ზოლს ატარებს გვერდებზე. თუმცაო, დაადგინა მოსამართლემ, მათი მსგავსება არც ისე თვალში საცემია, რომ მკითხველები და მაყურებლები შეაცბუნოსო...

# ინტერვიუ

# პლანეტის მთავარი კარდიოქირურგი

## „გულს წიგნები, ბოსტნეული და შრომა გადაარჩენენ, კონიაკი კი არა!"



### ბიოგრაფიული ცნობა

*მაიკლ ელის დებეიკი დაიბადა 1908 წლის 7 სექტემბერს. გამოიგონა და დანერგა მრავალი აპარატი, მეთოდი თუ პროცედურა – დაკრონის არტერიები, ხელოვნური გულის ნაწილები, გულის ტუმბო, რომლებმაც ადამიანებს მთელ მსოფლიოში შეუნარჩუნეს სიცოცხლე.*

*1964 წელს პირველმა ჩაატარა აორტოკორონარული შუნტირების ოპერაცია – შექმნა არტერიული სისხლძარღვი გულის მკვებავ აორტასა და არტერიებს შორის: ეს ქირურგიული ჩარევა აუმჯობესებდა გულის სისხლის მიმოქცევას და აიცილებდა ინფარქტს. გაკეთებული აქვს ათი ათასობით ოპერაცია. 1996-ში იმ კონსულტანტთა ჯგუფს მეთაურობდა, რომელმაც გულზე ოპერაცია ჩაუტარა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს.*

*სხვადასხვა დროს ოპერაცია გაუკეთა ირანის შაჰს, მსახიობ ქალს მარლენ დიტრიჰს, მილიარდერ არისტოტელ ონასისს, იორდანიის მეფე ჰუსეინს, აშშ-ის პრეზიდენტს ჯონ კენედის.*

*96 წლის მაიკლ დებეიკი ჰიუსტონში (აშშ) ცხოვრობს და დღემდე ითვლება მოქმედ კარდიოქირურგად...*

### მხცოვანი დიდოსტატის რჩევები

**გული იმისთვისაა, რომ სისხლი გადატუმბოს სხეულში. უკვე დამტკიცებულია, რომ ამის ორგანიზება მექანიკურადაც შეიძლება, ოღონდ ნებისმიერი უცხო ნაწილი ორგანიზმში ძალიან ფრთხილად უნდა ჩავნერგოთ, ფრთხილად და ნელ-ნელა, სხვანაირად სისხლის სტრუქტურა შეიძლება დაირღვეს.**

გულმა რომ დიდხანს გაგიძლოთ, იფიქრეთ იმაზე, თუ რას აკეთებთ და უყურეთ, რასაც მიირთმევთ. საჭმელი ერთობ მნიშვნელოვანია დღეგრძელობისათვის. ეცადეთ ბევრი ახალი ბოსტნეულისა და ხილის ჭამას, რაც გულისთვის მნიშვნელოვანია. საერთოდ, ნუ მოიხმართ ნურაფერ გაყინულს, კერძოდ, ხორცსაც. მშვიდად მიირთვით ახალი ხორცი, ოღონდ აუცილებლად აიღეთ დანა, მოაჭერით ქონი და გვერდზე გადასდეთ – სწორედ ამით გაიხანგრძლივებთ სიცოცხლეს.

მთავარია, რომ კვებისას ზედმეტი არ მოგივიდეთ, ნუ ადგებით სუფრიდან ისეთი შეგრძნებით, თითქოს ეს-ესაა ადგილზე ჩაიკეცებით. მოწევა კი გულისთვის იგივეა, რაც ლურსმნების ჩარჭობა.

ადამიანები სიცოცხლის ფესვს აფრიკის ძველ მცენარეულობაში ეძებენ, ის კი ვერ შეუგნიათ, რომ ქონის ყლაპვისა და წევის მიტოვებაა საჭირო.

ცოტა სასმელი არ გავნებთ, მაგრამ მხოლოდ ცოტა. სირჩა კონიაკმა ეგებ არა დაგიშავოთ რა, – მაგრამ სრულებით არაფერი სასარგებლოც არ მოაქვს. წამიკითხავს, გულს წითელი ღვინოც უხდებაო. ნეტავ რითი უხდება? თუ თქვენ, უბრალოდ, მოგწონთ წითელი ღვინის დალევა – კი ბატონო, გეგონოთ, რომ გულისთვის სასარგებლოა, თუმცა ეს აბსოლუტურად ასე არ არის.

მოდუნება თუ მოგესურვათ, რაღა ვისკის დალევით? გულისთვის ხომ გაცილებით სასარგებლოა კარგი წიგნით მოდუნება. ცხოვრებაში სხვა რამეებითაც უნდა ახერხებდეთ დატკბობას, მარტო დალევით კი არა. ის უნდა გახარებდეთ, რასაც აკეთებთ, შრომას უნდა მოჰქონდეს ბედნიერება.



აგერ, 96 წლისა ვარ, სამუშაოზე ყოველდღე მოვდივარ, მეხსიერება არ მღალატობს, გულს არასოდეს შევუწუხებივარ, მაგრამ არ ვიცი ამის განსაკუთრებული საიდუმლო, რომ ვიცოდე, გაგიმხელდით. აბა რა გითხრათ? ყველაფერს ვაკეთებ, რომ ჩემი გული უპრობლემებოდ მუშაობდეს – აქტიური გახლავართ და მუდამ მუშაობით დაკავებული, კერძოდ, გონებრივი შრომითაც – ლექციებს ვკითხულობ.

ხშირად ხდება ასე – აქტიური ადამიანი სიბერეში მკვეთრად წყვეტს მუშაობას და იქვე ემართება ინფარქტი. ესე იგი მუშაობის სიყვარული ერთობ მნიშვნელოვანია გულის ტონუსისათვის. სიგარეტი კი, რასაკვირველია, არასოდეს ხელში არ ამიღია.

კი, დამისახელებთ სახელგანთქმულ თამბაქოს მაგნატს ჯინო დავიდოფს, რომელიც ბავშვობიდან ეწეოდა, გული კი ხარივით ჰქონდა და 88 წლისა მოკვდა, დამისახელებთ უინსტონ ჩერჩილს, ორთქლმავალივით რომ აბოლებდა და 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. ოღონდ, იმათ მოწევის წყალობით კი არ იცოცხლეს დიდხანს, არამედ მოწევის მიუხედავად! გარდა ამისა, ასეთი მაგალითი სულ ორია, მეორე მხარეს კი ათეულობით მილიონი განსვენებულია, რომლებმაც გული წევის შეუწყვეტლობით მოიკლეს.

ჩვენ ზუსტად არ ვიცით ის ფაქტორები, რომლებიც სიცოცხლეს ახანგრძლივებენ, თუმცა ვიტყოდი, რომ ამ საკითხში დიდად მნიშვნელოვანია გენეტიკა. არსებობენ დღეგრძელთა ოჯახები, თაობათა მანძილზე რომ სხვა ოჯახებზე დიდხანს ცოცხლობენ. ვფიქრობ, სწორი იქნებოდა იმათი გენების გამოკვლევა.

ჰგონიათ, რომ ზოგიერთი პროფესია გულის დაავადებებისადმი გამორჩეულადაა „მიდრეკილი". სულაც არა. გულის პრობლემები ერთნაირად უჩნდებათ ბარმენებს, პოლიტიკოსებს, ტაქსის მძღოლებს, მტვირთავებსა თუ მილიონერებს. როგორი მეფეც არ უნდა იყო და რამდენი ფულიც არ უნდა გქონდეს, თუ საკუთარ გულს არ გაუფრთხილდები, პრობლემებს ვერ გაექცევი. საბედნიეროდ, ინფარქტით სიკვდილიანობა განუხრელად მცირდება, რაც ძალიან მახარებს.

... ასე თუ გაგრძელდა, მაიკლ დებეიკი ეგებ სულაც უმუშევარი დარჩეს, მაგრამ თურმე ამაზე ოცნებობს კიდევაც...

# კუმ თათი გამოყო – მეც რუბლ-რუბლიო...

**სმოლენსკელმა იურისტმა 100 მილიონი რუბლის („ქართულად" – 6 250 000 ლარის) კომპენსაცია მოითხოვა იმის სანაცვლოდ, თითქოს სახელგანთქმულმა ბელეტრისტმა „სასაფლაოს ისტორიები" მისი იმავსახელა პიესიდან გადაწერა.**

მოსკოვის ტვერის სასამართლოში უჩვეულო განცხადება შემოვიდა:

„2004 წელს გამომცემლობამ „კოლიბრი" გამოამზეურა გრიგოლ ჩხარტიშვილის (რომელსაც ფსევდონიმად აქვს ბორის აკუნინი) წიგნი „სასაფლაოს ისტორიები". ამით დაირღვა ჩემი, როგორც ნაწარმოების ავტორის უფლებები..."

დოკუმენტს ხელს აწერს სმოლენსკის ოლქის დაბა იარცევოს მცხოვრები ტატიანა ვიკენტიევა. ფრიად საეჭვო ბრალდება იურიდიულად სავსებით დასაბუთებული ჩანდა და ეს არ არის შემთხვევითი – საჩივრის შემომტანი განათლებით იურისტი გახლავთ. ვიკენტიევას რომ ჰკითხო, აკუნინმა მისი ნაწარმოების იდეა და ფორმა გადაიღო, ამასთან, „სახელწოდების შეცვლაც კი არ ინება".

სარჩელს დართული ჰქონდა „ნივთმტკიცებები": პატარა ყვითელი მსუბუქყდიანი წიგნი „სასაფლაოს ისტორიები", გამოშვების წელი 1999 და 2004 წელს გამოცემული იმავე სახელწოდების სქელყდიანი მასიური ტომი. პირველის ავტორი თვით ქალბატონია, მეორისა – ჩხარტიშვილი-აკუნინი...

ერთი შეხედვით, აბსოლუტურად განსხვავებული ნაწარმოებებია არა მხოლოდ ფორმით (ვიკენტიევასთან – პიესა, აკუნინთან – ესეები და მოთხრობები), არამედ ოსტატობის დონითაც. იურისტის მომცრო და სადა პიესუნა, მწერლის მონუმენტური ნაშრომის ფონზე, აშკარად საცოდავად გამოიყურებოდა.


ბორის აკუნინი.

თუმცა ნაწარმოებთა ერთგვარი მსგავსება მაინც შეიმჩნევა და გინდაც ეს სულ უმნიშვნელო იყოს, საქმის აღსაძვრელად საკმარისი აღმოჩნდა.

ვიკენტიევა უშუალოდ აკუნინს კი არა, მისი რომანის გამომშვებ გამომცემლობას ედავება. მორალური ზარალი მან ას მილიონ რუბლად შეაფასა და კიდევ 500 ათასი საავტორო უფლებების დარღვევის კომპენსაციის სახით მოითხოვა.

სასამართლოს სხდომა ორჯერ ჩაიშალა: ჯერჯერობით არც აკუნინი გამოცხადდა, არც მოსარჩლე...

### 30 ათასი ბაქსი დაყაჭეთო

**„კომსომოლსკაია პრავდას" ჟურნალისტმა იარცევოში მონახა ქალბატონი, ვინც თვით აკუნინის წინააღმდეგ გაბედა წასვლა.**

– რამდენს? – ეგრევე „დააჯახა" ტატიანამ.

– რა რამდენს? – ვერ მიხვდა სტუმარი.

– რამდენს მომცემთ ინფორმაციაში? მე ხომ მსოფლიო მასშტაბის ბომბი მიდევს! იურისტი ვარ და ვიცი, რომ ნებისმიერი ინფორმაცია ფული ღირს.

– ჯერ თქვენი წიგნი გეჩვენებინათ, საიდანაც ვითომ გადაწერეს სიუჟეტები.

მასპინძელმა „კომსომოლკას" 30 ათასი დოლარის გადახდა მოსთხოვა – მხოლოდ ამის შემდეგ საზეიმოდ ჩაგაბარებთ სასურველ ცალსო. გაზეთმა, ცხადია, გარიგებაზე უარი თქვა.

წიგნაკი კი, ბოლოს და ბოლოს, იარცევოს საბავშვო ბიბლიოთეკაში გამოჩხრიკეს. გამოცემულია ადგილობრივი სტამბის მიერ... 50-ცალიანი ტირაჟით. პიესა ლექსად! აკუნინთან, გაგახსენებთ, სუფთა პროზაა.

### მოპასუხის კომენტარი

**სერგეი პარხომენკო, გამომცემლობა „კოლიბრის" გენერალური დირექტორი:**

– ეს სარჩელი კი არა, ბოდვაა! მთელი ეს განაზრახი აბსურდულად მეჩვენება. არც მე, არც აკუნინს თვალითაც არ გვინახავს სმოლენსკელი მწერალი ქალბატონის წიგნაკი. არც კი ვიცი, რაზეა ლაპარაკი. გრიგოლი მიამბობდა, რომ აშშ-ში ასეთი სახელწოდების ჟურნალი გამოდის. ეს, საერთოდ, ნაწარმოების დასახელება კი არა, არამედ ჟანრია, როგორც „რჩეული" ან „მოთხრობები". იმ იურისტს როდი მოუფიქრებია „სასაფლაოს ისტორიები"...

ისე ჰგავს, რომ ვიკენტიევამ, უბრალოდ, ფულის გაკეთება გადაწყვიტა, ეგებ სახელის მოხვეჭაც, ან მოიწყინა და გართობა მოისურვა. ნებისმიერ შემთხვევაში, არა მგონია, რომ ამ ისტორიამ ჩვენ რაიმე ჩირქი მოგვცხოს...

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

# ქრონოგრაფი

## 16 მაისი – IX საუკუნე



**ხსენების დღე ღირსნი მამების მიქაელ და არსენ ქართველნის. ისინი იერუსალიმის პატრიარქის, სერგის (843-859) თანამედროვენი იყვნენ. მათ ჯვრის მონასტრის აღაპების მოხსენიებებით ჩაუყრიათ საფუძველი ქართველთა ბერ-მონაზვნობისთვის ულუმბოზე. ღირსი მამა არსენი არის წმიდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფე.**

იგი ხანძთიდან ეწვია პალესტინას, სადაც მაკარი ლეთეთელთან ერთად მოღვაწეობდა, შემდეგ კი ულუმბოზე დასახლდა. როცა ოცი წლის შემდეგ, ღირსი ილარიონ ქართველი ჩასულა ულუმბოზე, მას მხოლოდ სამი ქართველი დახვედრია, არსენ და მიქაელის მოწაფეთაგანი. ამის შემდეგ ულუმბოზე ქართველნი მომრავლდნენ. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანთა დასში შერაცხა ულუმბოზე ქართული მონასტრის დამაარსებელი, ღირსნი მამანი მიქაელი და არსენი.

## 17 მაისი, 1970 წელი



**მაროკოს ქალაქ საფიდან პაპირუსისაგან დამზადებული ნავით „რა-2"-ით ნორვეგიელი მოგზაურის ტურ ჰეიერდალის ექსპედიცია ამერიკის ნაპირებისკენ გაემგზავრა. მოგზაურმა ნავი სპეციალურად ტბა ტიტიკაკას ნაპირებთან მცხოვრებ ინდიელებს ააგებინა.**

ჰეიერდალს სურდა დაემტკიცებინა, რომ ევროპელები ამერიკის კონტინენტს ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იცნობდნენ და ამგვარი უბრალო ნავებით გადალახავდნენ ხოლმე ოკეანეს. ეს მოგზაურთა მეორე ცდა იყო. პირველად ნავი შუა გზაზე ჩაიძირა. ამჯერად ჰეიერდალის ექსპედიციამ მიზანს მიაღწია – 57 დღის ცურვის შემდეგ ისინი ბარბადოსის ნაპირებს მიადგნენ.

## 18 მაისი, 1935 წელი




**მოსკოვის თავზე მოხდა იმ დროისათვის ერთ-ერთი უდიდესი ავიაკატასტროფა. ტუპოლევის მიერ აგებული АНТ-20 „მაქსიმ გორკი", რომელიც საჩვენებელი ფრენის დემონსტრირებას ახდენდა, მოულოდნელად შეეჯახა მის თანმხლებ მსუბუქ ავიაგამანადგურებელს.**

ორივე თვითმფრინავი მიწაზე დაენარცხა, დაიღუპა 46 ადამიანი. წინა დღით „მაქსიმ გორკის" საჩვენებელ გაფრენაში მგზავრთა შორის იყო იმხანად მოსკოვში სტუმრად მყოფი ფრანგი მწერალი და პროფესიონალი მფრინავი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი.

## 19 მაისი, 1565 წელი



**კუნძულ მალტას თავს დაესხა 30 ათასი იანიჩარისა და 13 ათასი ჩრდილოაფრიკელი არაბებისგან შემდგარი არმია, ისინი კუნძულს 180 ხომალდით მიადგნენ.**

სანამ ესპანეთიდან დამხმარე ძალები მივიდოდა მალტისაკენ 4 თვის განმავლობაში ბარბაროსთა შემოტევას უმკლავდებოდა 600 მალტელი რაინდი და 7 ათასი ჯარისკაცი. რაინდებს ხელმძღვანელობდა მალტის ორდენის დიდი მაგისტრი, უშიშარი გასკონელი რაინდი, 70 წლის ჟან პარიზო დელა ვალეტა, რომლის სახელსაც 1566 წელს დაარსებული მალტის დედაქალაქი ვალეტა ატარებს.

## 20 მაისი, 1862 წელი



**ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის დროს მონათმფლობელობის წინააღმდეგ ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული კანონი მიიღეს. საზოგადოებრივი ფონდიდან მოსახლეობას ნება დაერთო გამოყოფოდათ მიწის ნაკვეთი და ამით საფუძველი ჩაყროდა ფერმერულ მეურნეობას.**

ამ კანონის მიხედვით აშშ-ს ყველა მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი და სამოქალაქო ომში იბრძოდა „სამხრეთელთა" მხარეს, 10 დოლარის გადახდის შემდეგ უფლება ეძლეოდა 65 ჰექტარი მიწის ნაკვეთის მიღებისა. ხუთი წლის შემდეგ ყოველგვარი გადასახადის გარეშე მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრებაში გადაეცემოდა მის მფლობელს.

## 21 მაისი, 1896 წელი




**გერმანელმა მეწარმემ გერმან კლასსმა ქალაქ კენიგსბერგში (შემდგომში კალინინგრადში) დააარსა პირველი ზოოლოგიური პარკი. თავდაპირველად ზოოპარკში 900 სახეობის ცხოველი ჰყავდათ, თოთხმეტი წლის შემდეგ მათმა რიცხვმა 2161-ს მიაღწია.**

მეორე მსოფლიო ომის დროს ქალაქის შტურმისას ზოოპარკის ვოლიერები და შენობა-ნაგებობები დაინგრა და ამ უნიკალურ სამხეცეში მხოლოდ ერთი ვირი, ირემლაღი, მაჩვი და დაჭრილი ბეჰემოთი გადარჩა, რომელსაც ჰანსი შეარქვეს. მომსახურე პერსონალმა შესძლო ბეჰემოთის გადარჩენა, რომელიც ხელახლა აღორძინებული ზოოპარკის ერთადერთი უნიკალური ცხოველი გახდა და... იგი დღესდღეობით ამ პარკის სიმბოლოდ ითვლება.

## 22 მაისი, 1849 წელი



**ამერიკელმა ინჟინერმა აბრაამ ლინკოლნმა, თერთმეტი წლით ადრე სანამ მას ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მეთექვსმეტე პრეზიდენტად აირჩევდნენ, მიიღო პატენტი მცურავი მშრალი დოკის კონსტრუქციის შექმნისათვის.**

იგი იყო ერთადერთი პრეზიდენტი ამ უდიდესი ქვეყნისა, რომელსაც გამოგონების პატენტი ჰქონდა. მის მიერ შექმნილი მცურავი დოკი დიდი ხნის მანძილზე ემსახურებოდა ქვეყნის სხვადასხვა საზღვაო პორტებს.

# მსხვერპლი ანდიჟანში

**საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, რომ შაბათს უზბეკეთის ქალაქ ანდიჟანში კვლავ ისმოდა სროლის ხმა. წინა დღით კი უზბეკეთის ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მიმდინარე მასობრივი საპროტესტო აქციის მონაწილეებს, რის შედეგადაც ათობით ადამიანი დაიღუპა.**

ექიმების მონაცემებით, პარასკევს ღამით, დემონსტრანტებსა და ჯარებს შორის შეტაკებების შედეგად მოკლულია 100-ზე მეტი კაცი. თუმცა, როგორც ანდიჟანში ამბობენ, დაღუპულთა რიცხვი სამასს აღწევს.

შაბათ დილით ჯარისკაცებმა 15 დაღუპულის ცხედრები ავტობუსით გაიტანეს ქალაქიდან. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მოკლულთა ნათესავებს არ დართეს შემთხვევის ადგილთან მიახლოების უფლება.

პარასკევს საღამოს იტყობინებოდნენ, რომ სამთავრობო ჯარებმა კონტროლი დაუწესეს ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობას, რომელიც დაკავებული ჰქონდათ შეიარაღებულ დემონსტრანტებს.

მაგრამ, როგორც ინტერფაქსის სააგენტო გადმოსცემდა ანდიჟანის შინაგან საქმეთა სამმართველოს მორიგის გამონათქვამის დამოწმებით, ადმინისტრაციულ შენობაში შაბათ დილითაც იმყოფებოდნენ შეიარაღებული ადამიანები.

ზოგიერთი მონაცემებით, ძალოვან ორგანოთა მოქმედებას, რომლებმაც დემონსტრანტებისგან გაწმინდეს ანდიჟანის ცენტრალური მოედანი, ხელმძღვანელობდა უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი.

იგი აპირებს გამართოს პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნება ანდიჟანის მოვლენებს.

უზბეკეთის არმიის ქვეგანაყოფით გარშემორტყმული ქალაქი მთლიანადაა მოწყვეტილი გარე სამყაროსგან. თვითმხილველები და ექიმები აცხადებენ, რომ მოედანზე გამოიყვანეს ჯავშანტექნიკა და ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს მომიტინგეებს, რის შედეგადაც მოკლულია ათობით ადამიანი, გარდა ამისა, მრავლად არიან დაჭრილებიც.

მოკლულთა და დაჭრილთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ძალზე რთულია, რადგან საავადმყოფოების მუშაკები არანაირ მონაცემებს არ იძლევიან, უზბეკეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი, რომელსაც მთლიანად აკონტროლებს ხელისუფლება, ანდიჟანში მიმდინარე მოვლენებს არც ისე დიდ ყურადღებას უთმობენ.



ცნობილია, რომ საპროტესტო გამოსვლების მონაწილეთა შორის მრავლად იყვნენ ქალები და ბავშვები.

მოვლენათა ასეთი განვითარება ანდიჟანში დაიწყო ხუთშაბათს ღამით, როცა დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა დაიკავეს ადგილობრივი საპყრობილის შენობა და გაათავისუფლეს 4 ათასზე მეტი პატიმარი. მათ შორის იყო 23 ადგილობრივი მცხოვრებიც, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ისლამისტ-ექსტრემისტებთან კავშირში.

მანამდე კი, ქალაქის მცხოვრებლები რამდენიმე კვირის განმავლობაში მართავდნენ მშვიდობიან საპროტესტო აქციებს და მოითხოვდნენ ამ ადამიანების წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების მოხსნას. ქალაქის ცენტრში შეკრებილი დემონსტრანტები მოითხოვდნენ აგრეთვე, მათთვის სოციალური გარანტიებისა და სამოქალაქო უფლებების მინიჭებას.

გასულ წელს ტაშკენტში მოხდა აფეთქებათა სერია, რომელთა ორგანიზებაშიც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისლამისტი-ექსტრემისტები დაადანაშაულეს. ამის შემდეგ, ოფიციალურმა ტაშკენტმა ძალზე გაამკაცრა უშიშროების ზომები.

ამავე დროს ისლამ ქარიმოვის ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ უზბეკეთის პრეზიდენტის მიერ განხორციელებულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამწვავა უკმაყოფილება ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე ღარიბ ფენებს შორის.

ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, უზბეკეთის პრეზიდენტის ასეთი სასტიკი მოქმედება ოპოზიციის გამოსვლების წინააღმდეგ, შესაძლოა, გარკვეულწილად უკავშირდებოდეს შეერთებული შტატების პოზიციას. ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებულ ბრძოლაში ვაშინგტონი ეძებდა მოკავშირეებს და მიაღწია იმას, რომ უზბეკეთმა შეერთებულ შტატებს დართო თავისი საჰაერო სივრცისა და სამხედრო ბაზების გამოყენების უფლება. სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, ამერიკელები იძულებული არიან დახუჭონ თვალი უზბეკეთში ადამიანის უფლებების არაერთ დარღვევაზე, მიაჩნიათ კრიტიკოსებს.

არის მონაცემები იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ საპყრობილეებში მოათავსა უზბეკეთის ათასობით მცხოვრები, რომლებსაც ბრალად სდებენ კავშირს ისლამისტ-ექსტრემისტებთან.

# ამერიკელები და ინგლისელები უარყოფენ რუსეთში ჯაშუშობის ფაქტებს



**ბრიტანელი და ამერიკელი დიპლომატები უარყოფენ რუსეთის ხელისუფალთა მტკიცებას იმის შესახებ, რომ ამ ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციები ეწევიან ჯაშუშობას რუსეთის ტერიტორიაზე.**

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ პატრუშევმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის „მერლინ" სამედიცინო დახმარების საქველმოქმედო სააგენტოს და ამერიკის მშვიდობის კორპუსს იყენებდნენ რუსეთში ინფორმაციის შეგროვების მიზნით.

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა ჯაშუშებთან კავშირურთიერთობაში დაადანაშაულა ასევე საუდის არაბეთის წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაცია და ქუვეითის ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია. პატრუშევის თქმით, დასავლეთი ამზადებს „ხავერდოვან რევოლუციას" ბელორუსიაში, და მარტო 2005 წელს ადგილობრივი ოპოზიციის მხარდაჭერის მიზნით მან გამოყო 5 მილიონი დოლარი.

ნიკოლოზ პატრუშევის მიერ გაკეთებული ასეთი განცხადება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ რუსეთში სულ უფრო პოპულარული ხდება თეორია იმის თაობაზე, რომ დასავლეთს სურს ამ ქვეყნის დასუსტება.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ მოსკოვში გააკეთა სპეციალური განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ ამერიკის არასამთავრობო ორგანიზაციები არ მონაწილეობენ რუსეთის ტერიტორიაზე ჯაშუშობაში.

ბრიტანეთის საელჩოს სახელით გავრცელებულ ასეთივე ხასიათის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ „ბრალდება აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს".

რუსეთის პარლამენტის წევრების წინაშე გამოსვლისას უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რუსეთის ოპონენტები ცდილობენ დააკნინონ ამ ქვეყნის გავლენა, როგორც პოსტსაბჭოურ სივრცეში, ისე მთელს მსოფლიოში. მსგავსი მოსაზრება სახელმწიფო სათათბიროში გამოთქვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც.



# პაკისტანში მოკლეს „ალ-ყაიდას" ერთ-ერთი მეთაური

**ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ პაკისტანში გაანადგურა ტერორისტული დაჯგუფების „ალ-ყაიდას" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჰაითამ ალ-იემენი, იტყობინებოდა ამერიკის „ეი-ბი-სი" ტელეკომპანია.**

ამ ადამიანს უკვე კარგა ხანია უთვალთვალებდნენ იმ იმედით, რომ იგი ამერიკელებს გაიყვანდა „ალ-ყაიდას" ლიდერის უსამა ბენ-ლადენის კვალზე.

მაგრამ მიმდინარე წლის მაისის დამდეგს ამ ორგანიზაციის იერარქიაში რიგით მესამე პირის – აბუ ფარაჯ ალ-ლიბის დაკავების შემდეგ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო იძულებული გახდა შესდგომოდა აქტიურ მოქმედებას, რადგან არსებობდა იმის საშიშროება, რომ ალ-იემენი მიმალვას შეძლებდა.

# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაცია

**თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2005 წლის 26 თებერვალს და 2 მარტს, დაცვის პოლიციელთა უნიფორმის, საავტომობილო საწვავის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:**

**1. დაცვის პოლიციელთა უნიფორმის შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებული პირებია: 1. შპს „მილერი და კომპანია", შესასყიდი საქონლის დასახელება – პერანგი მოკლემკლავიანი (8500 ცალი), პერანგი გრძელმკლავიანი (8500 ცალი), შარვალი (8500 ცალი), პულოვერი (8500 ცალი), ფეხსაცმელი დაბალყელიანი (8500 წყვილი), ქურთუკი (8500 ცალი), ბათინკი (2000 წყვილი). ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1465500 ლარს. 2. შპს „ივერია", შესასყიდი საქონლის დასახელება – ქამარი (8500 ცალი), საველე ფორმა (ქურთუკი - 100 ცალი, შარვალი - 100 ცალი, მაისური - 100 ცალი, ქუდი - 100 ცალი). ხელშეკრულების საერთო ღირებულება შედგენს 68300 ლარს. 3. შპს „სტილი", შესასყიდი საქონლის დასახელება – ბათინკი მაღალყელიანი (საველე, 100 წყვილი). ხელშეკრულების საერთო ღირებულება შედგენს 9000 ლარს. 4. შპს „მერკური", შესასყიდი საქონლის დასახელება – სამხრე (8500 წყვილი). ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 30600 ლარს. 5. ს/ს „საწარმოო გაერთიანება მაუდი", შესასყიდი საქონლის დასახელება – ქუდი (8500 ცალი). ხელშეკრულების საერთო ღირებულება შედგენს 127500 ლარს. 6. ს/ს სამკერვალო კომპანია „იმერი", შესასყიდი საქონლის დასახელება – ნახევარპალტო (3500 ცალი). ხელშეკრულების საერთო ღირებულება შედგენს 220500 ლარს. 7. ინდ. მეწარმე ნ. ჭყოიძე, შესასყიდი საქონლის დასახელება – ჰალსტუხი (8500 ცალი). ხელშეკრულების საერთო ღირებულება შედგენს 17850 ლარს.**

**2. საავტომობილო საწვავის შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებული იურიდიული პირია შპს „კანარგო სტანდარტ ოილი", შესასყიდი საქონლის დასახელება – ბენზინი სუპერი (14400 ლიტრი), პრემიუმი (148600 ლიტრი), რეგულარი (403700 ლიტრი), დიზელი ლ-62 (9000 ლიტრი) . ხელშეკრულების საერთო ღირებულება შედგენს 732058 ლარს.**

**3. ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებული იურიდიული პირია შპს „ტოიოტა ცენტრი თბილისი", შესასყიდი საქონლის დასახელება – მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება, 1 ერთეული. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შედგენს 52080 ლარს.**

**4. სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერში გამარჯვებული პირია შპს „იმექსი". შესასყიდი მომსახურების დასახელება – ა). ტერიტორიის შემოღობვა მონოლითური რკინა-ბეტონის საძირკველიანი რკინის მესერით; ბ). ტერიტორიის შესასვლელთან გამშვები პუნქტის ნაგებობის აშენება; გ). ადმინისტრაციული შენობის და ელექტროქვესადგურის ბრტყელი გადახურვის შეცვლა სხვენურით; დ). ადმინისტრაციული შენობის I-VI სართულების რემონტი; ე). ადმინისტრაციული შენობის მთლიანი ფასადის შეკეთება და შეღებვა; ვ). ავტოფარეხში სარემონტო სამუშაოების შესრულება. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შედგენს 337866 ლარს.**

ფეხბურთი

# ზოგი ადის, ზოგიც ჩადის

კოკა-კოლა
გენერალური სპონსორი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

**ხშირად გვესმის – ფოთში ქართული ფეხბურთის აკვანი დაირწაო. ამ დღეებში ფაზისელები სფფ-ს პრეზიდენტის პოსტზე გიორგი ნემსაძის კანდიდატურას წამოაყენებენ, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვამენ ხაზს, რომ არც თანამედროვე საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში დაუკარგავს ფუნქცია კოპწია საპორტო ქალაქს. მერედა, რითი უფასდება ამაგი იქაურ „კოლხეთს"?**

გულისტკივილით გიპასუხებთ, რომ არაფრით. ეს რომ ასეა, შემდეგი ფაქტი მოწმობს: XVI ეროვნული ჩემპიონატის XXXIII ტურის მატჩზე თბილისის „დინამოსთან" სერგო გაბელაიას გუნდი 10 (!) მოთამაშით გამოემგზავრა და განაცხადი აქვე დამატებული წევრებით შეავსო. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

რაც შეეხება თვით შეხვედრას, გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ნახევარი ძალით" გაუსწორდა მეტოქეს – 3:0 და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მეთორმეტე ტიტულისკენ – დარჩენილი სამი მატჩიდან კახი ცხადაძის შეგირდებს ორის მოგებაც ჰყოფნით ოქროს მედლების მოსაპოვებლად. დავძენთ, რომ სტუმართა კარში გოლები მახარაძემ, ნოზაძემ და მელქაძემ გაიტანეს.

**დანარჩენი შედეგები:** „სიონი" – „თბილისი" 0:2, „ვიტ ჯორჯია" – „ლოკომოტივი" 0:1, „დილა" – „ზესტაფონი" 1:2, „ბათუმი" – „ტორპედო" 0:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო" – 68, „ტორპედო" – 64, „თბილისი" – 63, „ლოკომოტივი" – 61, „ზესტაფონი" – 50, „ვიტ ჯორჯია" – 45, „ბათუმი" – 36, „სიონი" – 34, „კოლხეთი" – 29, „დილა" – 9 ქულა.

**18 მაისს ითამაშებენ:** „კოლხეთი" – „დილა", „ზესტაფონი" – „ბათუმი", „ტორპედო" – „სიონი", „თბილისი" – „ვიტ ჯორჯია", „ლოკომოტივი" – „დინამო".

* * *

*აქვე გაუწყებთ, რომ უმაღლესი ლიგის საგზურთა მფლობელები ვადამდე გახდნენ „ბორჯომი" და თბილისის „ამერი". ვულოცავთ!*

**გია პლატონიშვილი.**

დაფასება

# „დინამოს" სახელით

**სპორტკლუბ „დინამოს" თავკაცმა გოჩა ძასოხოვმა კაფე „მსოფლიო სპორტში" კიდევ ერთი დაუვიწყარი 13 მაისი აჩუქა სახელოვან ქართველ დინამოელებს – საზეიმო შეხვედრაზე სოლიდური თანხა გადაეცათ სამამულო სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლებს.** დაჯილდოებულთა შორის არიან პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე, ლუკა კურტანიძე, სახელოვან ფალავანთა ღირსეული აღმზრდელი გურამ პაპიტაშვილი და დიუსელდორფის ისტორიული საფეხბურთო მატჩის ერთ-ერთი გმირი ალექსანდრე ჩივაძე. იქვე გაიმართა უკრაინელი ჟურნალისტის იან დიმოვის წიგნის „საჭიდაო ხალიჩის რაინდები" პრეზენტაცია, რომელიც გოჩა ძასოხოვის დახმარებით გამოიცა.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**



ქართული ჭიდაობა

# წყალდიდობამაც ვერ შეაშინა

**გორში გაიმართა ცამეტ-თოთხმეტწლიანთა პირველობა ქართულ ჭიდაობაში. სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის ასზე მეტმა წარმომადგენელმა მოიყარა აქ თავი. მათ შორის იყვნენ ცაგერელებიც, რომლებიც წყალდიდობას არ შეუშინდნენ და გორში საასპარეზოდ ჩამოვიდნენ.**



ორდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ: ლომბარდ ველთაური (დუშეთი), იაშა გიუნაშვილი (ქარელი), ლექსო რაზმაძე, გიორგი თათარაშვილი (ორივე – გორი), გიორგი ჯმუხაძე (ხაშური), გიორგი ჩხიკვაძე (გორი), ლევან ბერუაშვილი (ერედვი), მერაბ ლეშკაშელი (ქუთაისი) და გიორგი ბოდაველი (დუშეთი).

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

17-19 მაისს ბათუმში ახალგაზრდებს შორის საქართველოს პირველობა გაიმართება, ხოლო 9-11 ივნისს ახმეტა ქართულ ჭიდაობაში ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლებს.

**ბესიკ გაბრიაძე.**
**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

ჭადრაკი

# თუმცა ყაიმები „აიკრძალა"



**ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დაიწყო ახალი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელიც მონაწილეთა შემადგენლობით სუპერტურნირების კატეგორიას განეკუთვნება.**

აი, ვინ მიუსხდნენ ჭადრაკის დაფებს – მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში ვლადიმერ კრამნიკი, ინდოელი დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი, მასპინძელი ვესელინ ტოპალოვი, ფიდეს ვერსიით 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონი, უკრაინელი რუსლან პონომარიოვი, ინგლისელი მაიკლ ადამსი და უნგრელი ქალბატონი იუდით პოლგარი. ტურნირი მეოცე კატეგორიისაა.

აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირზე მისი ინიციატორისა და იმპრესარიოს, ცნობილი ბულგარელი მენეჯერის სილვიო დანილოვის ინიციატივით „ბრძოლა გამოუცხადეს" საყაიმო შედეგებს. აქ მიღებული წესებით, მშვიდობიანი დაზავება დასაშვებია მხოლოდ მუდმივი ქიშისა და სვლების განმეორების შემთხვევაში, ან თუ მსაჯის შეფასებით დაფაზე პოზიცია მთლიანად თანაბარია.

უკვე გათამაშდა ორი ტური.

გამარჯვებით დაიწყო ტურნირი ვლადიმერ კრამნიკმა, „კლასიკოსმა" მსოფლიო ჩემპიონმა ფიდეს ყოფილი ჩემპიონის წინააღმდეგ უკვე მე-19 სვლაზე შექმნა სტრატეგიულად მოსაგები პოზიცია. მე-20 სვლაზე კი რუსლან პონომარიოვი მიხვდა, რომ პარტიას ვერ გადაარჩენდა, მაგრამ მაინც თავგანწირულად იბრძოდა და მხოლოდ მე-60 სვლაზე დანებდა.

მართალია, როგორც თავად მოჭადრაკეებმა აღიარეს, კარგა ხნით ადრე შეიძლებოდა პარტიის ყაიმით დამთავრება, მაგრამ მაიკლ ადამსმა და იუდით პოლგარმა ის 74-ე სვლამდე გაწელეს და მსაჯის თანხმობით მხოლოდ მაშინ დაზავდნენ.

ფენომენალური, გრანდიოზული, აღმაფრთოვანებელი! – ასე შეაფასეს სპეციალისტებმაც და გულშემატკივრებმაც მსოფლიო რეიტინგით მეორე და მესამე მოჭადრაკეების ანანდისა და ტოპალოვის პარტია (როგორც ცნობილია, პლანეტის პირველმა მოჭადრაკემ გარი კასპაროვმა უარი განაცხადა „დიდ ჭადრაკში" მონაწილეობაზე). მე-60 სვლამდე გაგრძელებულ მათ ორთაბრძოლაში მხოლოდ ტურნირის მთავარი მსაჯის ჰოაკინ ერნეხოს ჩარევის შემდეგ დაფიქსირდა ყაიმი.

მეორე ტურში კი, აკრძალვის მიუხედავად, სამივე პარტია „მშვიდობიანად" დასრულდა. ყაიმზე შეთანხმდნენ კრამნიკი ანანდისთან, ტოპალოვი ადამსთან, ხოლო პონომარიოვი – პოლგართან.

ორი ტურის შემდეგ 1,5 ქულით ლიდერობს კრამნიკი, თითო ქულა აქვთ ადამსს, ანანდის, პოლგარს, ტოპალოვს, 0,5 ქულა – პონომარიოვს.

**ვალიკო სიმონიშვილი.**

რაგბი

# პირველობამდე ნაბიჯიღა დარჩა

**საქართველოს რეგიონთა თასის გათამაშებაში ოთხი გუნდი მონაწილეობს. II ტურში თბილისის ნაკრებმა, რომელიც „ლოკომოტივის" მორაგბეებით იყო დაკომპლექტებული, იმერეთის წარმომადგენლებს სძლია 57:5. აჭარის გუნდის სახელით მოასპარეზე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 117:7 კახეთის გუნდი დაამარცხა.**

მესამე ტურში თბილისელებმა, რომელთა ღირსებას ამჯერად „ლელოს" მორაგბეები იცავდნენ, აჭარას მოუგეს დაძაბულ ბრძოლაში – 21:17. იმერლებმა იოლად დააყრევინეს ფარხმალი კახელებს – 57:0.

რეგიონთა თასზე გასამართავი დარჩა ერთი მატჩი – კახეთი – თბილისი. მოგების შემთხვევაში დედაქალაქელები პირველ ადგილზე გავლენ.

**გიორგი გაგუა.**



სპორტულ ორბიტაზე

# 2004 წლის ოლიმპიადის მილიონები

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე ძვირი გამოდგა 2004 წლის ათენის ოლიმპიადა, რომლის გამართვა ქვეყანას დაახლოებით 9 მილიარდი ევრო დაუჯდა. ახლა, როგორც დაიანგარიშეს, საორგანიზაციო კომიტეტის მოგება 130 მილიონ ევროს აღემატება.

თუმცა ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 1,9 მილიონი ევროთი, საორგანიზაციო კომიტეტის შემოსავალმა 2,05 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც ტელეტრანსლაციების გაყიდვით, ბილეთების რეალიზაციით და სპონსორების დახმარებებით შეგროვდა.

# სპორტულ პრესას – ახალი პრეზიდენტი

მაროკოს საკურორტო ქალაქ მარაკეშში გაიმართა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (АИПС) 68-ე კონგრესი. მასში მონაწილეობდნენ 88 ქვეყნის წარმომადგენლები.

კონგრესმა ძალზე წარმატებულად შეაფასა ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტის, თურქი ტოგაი ბაიათლის საქმიანობა. გაიმართა ახალი პრეზიდენტის არჩევნები. ამ საპატიო პოსტის პრეტენდენტები იყვნენ ალენ ლიუნზან ფიშტერი (საფრანგეთი) და ჯანინი მერლო, იტალიურ გაზეთში „La Gazzetta dello sport" რომ მუშაობდა.

დიდი უპირატესობით გაიმარჯვა მერლომ. მას ხმა მისცა 60 დელეგატმა, წინააღმდეგია – 26.



# „ფეხბურთის მეფეს" მსახიობობა უნდა

პლანეტის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა, „ფეხბურთის მეფედ" აღიარებულმა პელემ განაცხადა, რომ აქვს ერთი ოცნება, რომლის განხორციელება ჯერჯერობით ვერ შეძლო. აღმოჩნდა, რომ ის მსახიობობაზე ოცნებობს.

„თეატრის მსახიობის პროფესია მუდამ მიზიდავდა, – განაცხადა პელემ, – გპირდებით, სანამ არ ვითამაშებ რომელიმე როლს, არ მოვკვდები".

სახელგანთქმული ფეხბურთელის თქმით, ფეხბურთს და თეატრს ბევრი საერთო აქვთ. ბევრი ხალხი დადის თეატრშიც, როგორც სტადიონებზე. პელეს განცხადებით, ის მინდორზე ლიდერი იყო და სცენაზეც ლიდერობა, ე.ი. მთავარი როლის თამაში უნდა.

სიმართლე რომ ითქვას, პელემ ბევრ რამეში გამოიჩინა თავი – მოასწრო ფეხბურთის თამაში, დაწერა წიგნი; ყავის ქილებზე რეკლამა გაუწია თავის სახელს, პოლიტიკაშიც გაერია და თავისი სიმღერების რამდენიმე ფირფიტაც ჩაწერა. ალბათ მისგან შესანიშნავი მსახიობიც გამოვა.

# ჟინოლა კანის ფესტივალზე

როდესაც „ფეხბურთის მეფე" მსახიობობაზე ოცნებობს, საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა დავიდ ჟინოლამ უკვე რამდენჯერმე გამოსცადა თავი კინოში. შარშან კანის კინოფესტივალზე უჩვენეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი „როსბიფი" მისი მონაწილეობით, ხვალ, 16 მაისს კი საფრანგეთის ამ საკურორტო ქალაქში მიმდინარე კინოფესტივალზე აჩვენებენ ფილმს „უკანასკნელი წვეთი", რომელშიც 37 წლის სპორტსმენია გადაღებული.

მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილ ამ სურათში ჟინოლა ერთ-ერთ მთავარ როლს – გერმანელ სნაიპერს თამაშობს. ფილმში, რომელიც შარშან რუმინეთში გადაიღეს, მისი პარტნიორები არიან ცნობილი ამერიკელი მსახიობები ბილი ზეინი და მაიკლ მედსონი.

კინოში გადაღების წინ ის ლონდონში, დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიაში სწავლობდა.

„კინოში არის შანსი – გამოვასწორო ჩემი შეცდომა, სხვა დუბლს გადაიღებენ, ფეხბურთში კი ასეთი შანსი არაა!" – განაცხადა ფეხბურთელმა მსახიობმა.



ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



წითელწყაროელი მშენებლები (მარცხნიდან): ოთარ ბეგიაშვილი, ძმები ზურაბ და იური ხოსროშვილები, მძღოლი ჯუმბერ ჯიბღაშვილი. 1967 წელი.

მოგვაწოდა ზურაბ ხოსროშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

***ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.***

⊙ კინო

# «თავისუფალი ეკრანი»

## სუპერ 8-მილიმეტრიანი ფილმების ფესტივალი თბილისში

**თბილისში, ზანდუკელის ქუჩაზე მდებარე „კლუბ 22"-ში ორიგინალური ფესტივალი მოეწყო, რომელიც 8-მილიმეტრიანი ფორმატის ფილმების 40 წლისთავს მიეძღვნა. ფესტივალი ევროპის 40 ქალაქში მიმდინარეობდა. ჩვენთან ორგანიზება ითავა შვეიცარიის ქალაქ ბაზელის სამხატვრო აკადემიის წარმომადგენელმა, ხელოვანთა ჯგუფის „მობილესკინოს" წევრმა ფლორიან ოლიცმა, რომელმაც ამ მეტრაჟის მიხედვით გადაღებული ევროპული ფილმები წარმოგვიდგინა.**

საგულისხმოა, რომ ეკრანი თავისუფალი იყო ნებისმიერი სტუმრისთვის, ვისაც 8-მმ-იანი ფორმატის ოჯახური, ექსპერიმენტული თუ მულტიპლიკაციური ფილმების წარდგენა სურდა.

ორიგინალობით გამოირჩეოდა დევიდ ფლუგერის „ჩვენების დასასრული", „დისტანციური მართვის პულტი", „ვარსკვლავური ომები", ბეატრის იაგის „გოძილა", „დაუსრულებელი ცეკვა", გილბერტ ენგელჰარდის „პატარა კურდღელი", „მობილესკინოს" – „რეპორტაჟი 03", „გიგას გამოვარდნა", „ყველაზე გრძელი ფილმი"; მამუკა სამხარაძის „შაშკი და კუნთები" და ა. შ.

საქართველოს კინომოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარემ, სტუდია „პიონერფილმის" ხელმძღვანელმა გრიგოლ ჩიგოგიძემ „პიონერფილმის" მიერ 1979-80 წლებში გადაღებული ფილმები „მუხა ცაკატუხა" და „ჩვენი ბანაკი" წარმოგვიდგინა. ფილმში მონაწილეობდნენ დღეს უკვე სახელგანთქმული პრიმაბალერინები – ირმა ნიორაძე და იგორ ზელინსკი, საქართველოს ელჩი ისრაელში ლაშა ჟვანია, ჟურნალისტები ნინო შუბლაძე, თამუნა კვერნაძე, თამუნა ღვინიანიძე, კახა ბუხრაშვილი.



– სამწუხაროდ, ამ მეტრაჟის ფილმები საქართველოში აღარ იქმნება... რადგან მოიშალა ლაბორატორიები, ფირების შეძენა კი ძალიან ძვირი ჯდება. ამდენად, მათი წარმოება პრაქტიკულად შეუძლებელია, – აღნიშნა გრიგოლ ჩიგოგიძემ.

ბატონმა გრიგოლმა ფილმის ავტორებს სამახსოვროდ გადასცა 1979 წლის ხელოვნების ფესტივალის მედლები და 8 მმ-იანი აპარატის ნაწილები.

დასასრულ ფლორიან ოლიცმა აღნიშნა: „ჩემი მეგობრებისაგან საქართველოზე ბევრი კარგი მსმენია, ამიტომაც ჩამოვედი აქ. მიხარია, რომ საშუალება მომეცა, თბილისში ჩამეტარებინა სუპერ-8-მმ-იანი ფილმების ფესტივალი. კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ საღამოს ბევრი ხალხი დაესწრო. ჩვენი ეკრანი თავისუფალია ყველა მსურველისთვის... თუ ქართველები აქტიურად ჩაერთვებიან ამ ჩვენებებში და მოგვაწვდიან 8-მმ-იან მეტრაჟის ფილმებს, სამომავლოდ უფრო მეტი საინტერესო კადრის ნახვის საშუალება გვექნება".

ჩვენს შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტ საიტზე WWW. SUPER8.CH/GLOBALSUPER8DAY.

**ია ხაზარაძე.**

**სურათზე: ფლორიან ოლიცი.**

**ლევან ლომაძის ფოტო.**

⊙ გიხაროდენ!

# იხარე, ქეთო!



ძვირფასო რედაქცია, მე და ჩემმა მეუღლემ ელენემ ხუთი წლის წინათ ვიქორწინეთ, მაგრამ აქამდე შვილი არ გვყავდა, რასაც ძალიან განვიცდიდით. მადლობა ღმერთს, რომ არ გაგვწირა და მშობლების დიდი სიხარული არ მოგვაკლო. 12 მაისს ჩვენი ნანატრი შვილი დაიბადა, მას მამაჩემის სახელი ერეკლე დავარქვით. დედა და შვილი თავს კარგად გრძნობენ.

დიდი მადლობა ჩვენი სიხარულის გაზიარებისათვის.

**ლევან მაისურაძე,**
***თბილისი.***

**ელენე და ლევან, პირველი შვილის შეძენას გილოცავთ. სიხარული და ბედნიერება ნუ მოგიშალოთ ღმერთმა.**

⊙ ცოტაც გავიღიმოთ...



მიხო გალეწილი მთვრალი დაბრუნდა სახლში. ჯიბეში სამი ლარი ჰქონდა. დილით გაეღვიძა, თავი უსკდება, ყელი გამშრალი აქვს. ლუდის დალევა მოუნდა. ჯიბეები მოიჩხრიკა. ერთი თეთრიც ვერ იპოვა.

გაბრაზებულმა ინდაურს დასტაცა ხელი და ბაზარში გააქანა. აღებული ფულით კვლავ გამოტყვრა და სახლამდე ძლივს მილასლასდა.

— სად არის ჩვენი ინდაური? — ეკითხება ცოლი.

— თბილ ქვეყნებში გაფრინდა, — უპასუხებს მიხო, — ხოლო თუ ჩემს ჯიბეებში ხელის ფათურს თავს არ დაანებებ, მალე ჩვენი ვირიც გაქრება მთებში.

* * *

საშუალო ასაკის ქალი და მისი მომხიბლავი ქალიშვილი ექიმთან მიღებაზე მივიდნენ.

— გაიხადეთ ქალიშვილო, — ეუბნება ექიმი.

— მაპატიეთ, — ეუბნება ქალი, — ავად ჩემი გოგო კი არა, მე ვარ.

— ჰო? მაშინ ენა გამოყავით!

* * *

— რა გაქვთ საჭმელი? — ეკითხება ჭიჭიკია ოფიციანტს.

— სამწუხაროდ, მხოლოდ გულიაში.

— აბა, მენიუში რომ უამრავი კერძი გაქვთ ჩამოთვლილი?

— ეს ისე, მადის აღსაძვრელად.

* * *

მას შემდეგ, რაც მანქანის ტარება დავიწყე, უფრო ფრთხილად გადავდივარ ქუჩაზე.

* * *

— დაგისხა?

— არა, საჭეს ვუზივარ.

— მერე რად მოხვედი მანქანით. სახლში დაგეტოვებინა.

— ვჩქარობდი, უჩემოდ არ დაიწყონ დალევა-მეთქი.

* * *

— გუშინ მთელი ბიბლიოთეკა დამეწვა, — შესჩივლა პეტკამ ძმაკაცს.

— ჰო? ვიზიარებ შენს მწუხარებას დანაკარგის გამო.

— გმადლობთ, მართლაც მძიმე დანაკარგია. წარმოგიდგენია, ორივე წიგნი დამეწვა, თანაც ერთი საერთოდ გაუფერადებელი იყო.



ინგლისის დედოფლის – ანას დაგრეხილი ფეხები გახდა დიზაინერების შთაგონების წყარო, შეექმნათ ავეჯის ახალი სტილი.

* * *

1711 წელს, პეტრე პირველის ბრძანებით, პომიდორს, როგორც „შხამიან მცენარეს", სიკვდილმისჯილებზე ცდიდნენ. 1712 წლიდან, მას შემდეგ, რაც ამ „შხამმა" არცერთ სიკვდილმისჯილზე არ იმოქმედა, დაიწყო მისი მოყვანა-მოშენება.

* * *

არაბეთის ნახევარკუნძულზე ხარობს მცენარე, რომელსაც „სიცოცხლის ყვავილს" ეძახიან. მის თესლს შეუძლია ადამიანს უმიზეზო სიცილი დააწყებინოს. შეტევა 30-35 წუთი გრძელდება. შემდეგ კი ადამიანს ეძინება. აღნიშნულ თესლს ადგილობრივი მოსახლეობა კბილის ტკივილის გასაყუჩებლად იყენებს.

1841 წელს მექსიკაში საპონი იმდენად დეფიციტური იყო და ისე ძვირად ფასობდა, რომ ფულის მაგივრობასაც სწევდა.

* * *

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შვეიცარიაში თითო ადამიანი წელიწადში დაახლოებით 19 კილოგრამ შოკოლადს მიირთმევს, ამერიკაში – 13-ს, ხოლო რუსეთში მხოლოდ 2 კილოგრამს.

ყველაზე მსხვილი საფირონი ტაილანდში იპოვეს. იგი თითქმის 7 კილოგრამს იწონიდა.

* * *

იტალიელი მხატვრის სანდრო ბოტიჩელის ნამდვილი სახელი და გვარია ალექსანდრო პილიპელი.

* * *

წინწკლებიან ცხენს აბრაში ჰქვია.

⊙ ფენომენი

# რვა წლის დირიჟორი

**მსოფლიოს მუდამ აოცებდა ვუნდერკინდთა არაჩვეულებრივი ნიჭიერება. ასეთი ბავშვების უნიკალურობას ხალხი ბუნების წყალობად მიიჩნევს. მეცნიერებას ჯერჯერობით არც ძალუძს ნორჩთა ზეგარდმო ნიჭის მიზეზების ახსნა და მათზე მხოლოდ ცნობების დაგროვებაღა დარჩენია.**

## სტუმარი იტალიიდან

პეტერბურგში 1913 წლის გვიანი შემოდგომა იდგა. ნისლიანი ჩრდილოეთის დედაქალაქის მუსიკოსთა წრეებში ხმა გავარდა – რვა წლის სასწაული-ბიჭუნა, დირიჟორი ვილი ფერერო ჩამოდისო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ნამდვილი ქარიშხალი დატრიალდა: „ბავშვი-კაპელმაისტარი იტალიიდან!.. დარბაისელი მსმენელები საკუთარი თვალით დარწმუნდებიან ამ მომხიბლავი ბიჭუნას გაუგონარ გენიალობაში, როცა მის კონცერტს დაესწრებიან!.. იჩქარეთ, რადგან მალე სატახტოს დასაპყრობად გაეშურება!.."

## პირველი კონცერტი

სკეპტიკოსთა ხმებიც შეერია თაყვანისმცემელთა აღტაცებულ შეძახილებს. „დიდი ამბავი! ეგეთები გვინახავსო?.." და ცირკში რვა წლის ვალოდია ზუბრიცკის გამოსვლებს იხსენებდნენ – „მათემატიკური მანქანისა". ბიჭი წამში ამრავლებდა ხუთნიშნა რიცხვებს და ნებისმიერ თარიღს ასახელებდა რუსეთის სახელმწიფოს ისტორიიდან. სასწაული აბა ეგ იყო, თუ იყოო!

რუსეთში ვილი ფერეროს პირველი კონცერტის წინ იყო ეჭვები მუსიკალურ სამყაროში... პატარა გასტროლიორის



იმპრესარიომ თხოვნით მიმართა კომპოზიტორ ა. გლაზუნოვს – ნება მოგვეცით, ბავშვმა თქვენს მეხუთე სიმფონიას უდირიჟოროსო. პასუხი ასეთი იყო: სიამოვნებით ვანდობ ჩემს ნაწარმოებს, ოღონდ მას შემდეგ, რაც ესტრადაზე სადირიჟორო წკეპლით ვნახავო...

## ვილი-დირიჟორი

რეპეტიციებსა და კონცერტებზე მისთვის სპეციალური სადგამი გამოჰქონდათ, იმაზე მაღალი, რომელზეც მოზრდილი დირიჟორები დგანან. ბიჭუნა მარჯვედ შეახტებოდა ხოლმე მას, „ბატონებო, ვიწყებთო", დაიძახებდა წკრიალა ხმით, დაატყაპუნებდა ფეხს, შეაქანებდა კულულებს და აიქნევდა ხელებს...

„ესტრადაზე გამოსვლა და – ბავშვში ყველაფერი მყისიერად იცვლებოდა: ეს იყო შთაგონებულ ხელოვანად გადაქცევა. იგი უძღვება მარიამის თეატრის ორკესტრს, მბრძანებლობს, აიძულებს მხატვრული ჩანაფიქრების შესრულებას, რომლებიც ყოველთვის პოეტურია", – წერდა მაშინ ერთი ცნობილი კრიტიკოსი.

დიახ, ეს გახლდათ მომთხოვნი ხელმძღვანელი, ორკესტრს დაჯერებულად და მკაცრად მართავდა. სახე – გულისყურიანი, ხელების მოძრაობა – მოხდენილი და გამომსახველი...

დამთავრდა შესრულება, ვილიმ ხელები ჩამოუშვა, გახარებული სახით მიბრუნდა ხალხისკენ. ტაშმა იქუხა. „ის ხომ სულ ბავშვია", „ღმერთო, რა საყვარელია!" ორკესტრში ყვავილები, ყვავილების თაიგულები ცვივა, ოვაცია არ ცხრება. ბოლოს, როგორც იქნა, ნორჩი გენიოსი ფარდებს იქით მიდის...

## ვინ არის ეს ბრწყინვალე ბიჭი?

მისი ნამდვილი სახელია ბოლელმო; დაიბადა შეერთებულ შტატებში, იტალიელი ემიგრანტების ოჯახში; კარგად ლაპარაკობს ფრანგულად, იტალიურად კი – მშობლიურ პიემონტურ კილოზე.

პეტერბურგში ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ მამამისი, სენიორ ფერერო უყვებოდა ჟურნალისტებს: „მე და ჩემმა ცოლმა ბალღის ნიჭს მაშინ მივაქციეთ ყურადღება, როცა მხოლოდ თხუთმეტი თვისა იყო. ერთხელ სამნი ვუკრავდით – მეუღლე, გამოჩენილი მევიოლინე, მისი და, არფისტი და მე, მოკრძალებული პიანისტი. ჰოდა, ვხედავთ – პატარა ბოლელმო დირიჟორობს თავისი ცაცუნებით. სწორედ რომ დირიჟორობს, ისე კი არ იქნევს, უწესრიგოდ"...

## რა მოხდა მერე

გადავაბიჯოთ ბიჭუნა-დირიჟორის ტრიუმფის წლებს და მისი სწავლის გრძელ პერიოდს, როცა ის, მოზრდილი ჭაბუკი, 1927 წელს, იტალიაში მუსოლინის გახურებული ფაშისტური დიქტატურის დროს, ვენის მუსიკის აკადემიაში შევიდა და რომ დაამთავრა, მილანში დასახლდა. აქედან მიემგზავრებოდა გასტროლებზე მთელ მსოფლიოში. ევროპისა და ამერიკის მუსიკის მოყვარულები ახლა ვილი ფერეროს ხვდებოდნენ როგორც ახალგაზრდა, ტემპერამენტიან დირიჟორს, რომელმაც სრულ შემოქმედებით სიმწიფეს მიაღწია.

1950-იანი წლების დასაწყისში იტალიელი დირიჟორი კვლავ ნევისპირა ქალაქშია. ნაცნობი სახელის ირგვლივ კვლავ ნამდვილი აჟიოტაჟია ატეხილი... სრულდება რაველის ბოლერო. ვილი ფერერო სრულიად უჩვეულოდ იქცევა: თავიდან ხელში უჭირავს დირიჟორის წკეპლა, მაგრამ აი, თანდათან, ჟღერადობის სიმძლავრის ზრდასთან ერთად, მედოლის უზადო რიტმის თანხლებით, წკეპლა ჩნდება მაესტროს ფრაკის სახელოდან. დგება ფინალი, როცა მსმენელებს დამამთავრებელი აკორდების ზვავი აწყდება და წკეპლაც ამაყად ბრწყინდება ვილი ფერეროს ზეაწეულ ხელში...

იტალიაში დიდების მწვერვალზე მყოფი ბრუნდება და განაგრძობს გამოსვლებს, სამწუხაროდ, მცირე ხანს. არაჩვეულებრივი წარმატებით ჩავლილი კონცერტი რომის თეატრში „არგენტინა", მაესტროს სიცოცხლეში უკანასკნელი აღმოჩნდა. ორიოდ თვეში ვილი ფერერო რომშივე გარდაიცვალა, 47 წლისა...

⊙ თითქმის ნატურიდან

# ღმერთმა მოავლინა

ბუში გაფრინდა საქართველოდან, მაგრამ ქვეყანა ისევ ბუშზე ლაპარაკობს. მე შევესწარი, მაგალითად, ქუჩაში მიმავალი ორი ქალბატონის საუბარს, რომლებიც ერთმანეთს ხმამაღლა უზიარებდნენ შთაბეჭდილებას.

– დედა, დედა, ეს რა ვნახე, – ხელების ქნევით გამოხატავდა აღტაცებას მაღალი, ოდნავ ჭორფლიანი ქალი, რომელსაც მოვარდისფრო ლაბადა ეცვა.

– რავა, ხელყუმბარა შენც დაინახე?

– ხელყუმბარისთვის ვის ეცალა, ქალო, ვერა ნახე, მთელი ხალხი ბუში-სააკაშვილის დუეტს მისჩერებოდა.

– ღმერთსა მადლი, არ აფეთქდა, თორემ...

– თორემ რა, იმდენ ხალხში რომელ ერთს მოხვდებოდა?

– სტუმარზე გეუბნები, გოგო, თორემ ჩვენ რას დაგვაკლებდა.

– სტუმრამდე ვინ მიუშვებდა, ქა, ვერ გაიგე, სააკაშვილმა რა თქვა – ბუში საქართველოში ღმერთმა მოავლინაო.

– ჰოო, ეგ არ გამიგია, ის კი მოვისმინე – დიდი დემოკრატიაო.

– დემოკრატობაზე ნუღარ მეტყვი, შენ გუშინ საღამოს მეიდანზე უნდა გენახე.

– იქაც იყავი? – შეშურდა თეთრლაბადიანს.

– ვიყავი რომელია, პირდაპირ თვალებში შევციცინებდი.

– თეძოების რხევით როგორ აჰყვა არა ჩვენს მოცეკვავეებს.

– ჰო, რესტორნიდან დიდებული განწყობით დაბრუნდა. ყველას ეგონა, აღარ შემოტრიალდებოდა, მაგრამ...

– თურმე ქართული სამზარეულოთი აღფრთოვანებული დარჩა.



– განსაკუთრებით ხინკალი მოსწონებია.

– დაკეპილი ხორცით გავამზადე და იმიტომ არის ასეთი გემრიელიო, – დაუკვეხნია მზარეულს.

– თარჯიმანი დაბნეულა და დაკეპილი ხორცი ვერ უთარგმნია.

– ხორცს თავი გავანებოთ, – უთქვამს ბუშს, – ხინკალს ასეთ არომატს რა აძლევსო.

– შავი პილპილიო.

– როგორ კაცო, განა თეთრი პილპილიც არსებობსო? – გაოცებულა ბუში.

– თეთრი არა, მაგრამ წითელი პილპილა ქვე გვაქვსო, – თავი მოუწონებია მეხინკლეს.

– იმასაც ამბობენ, – დაამატა ჭორფლიანმა, – ბუშმა მეხინკლეს თეთრ სახლში გადასვლა შესთავაზაო.

– მერე?

– უარი უთქვამს.

– რატომ, გოგო?

– მალე ტონი ბლერს ველოდებით და ხინკალს ვინ გაუკეთებსო!

– უარი არ უნდა გაებედა, – შეწუხდა თეთრლაბადიანი, – კიდევ კარგი, ბუში დემოკრატია, თორემ ზოგი მაგის ადგილზე განაწყენდებოდა.

– არა, ქალო, მაგის განაწყენება სად გაგონილა. ერთადერთი, დავით გამყრელიძე მარტო მდგომი რომ უნახავს, ის არ მოსწონებია.

– რატომ?

– უბრალოდ შესცოდებია.

– გამყრელიძე?

– არა, სააკაშვილი. უთქვამს: მე იმხელა ოპოზიცია მყავს და მიჭირს მუშაობა. წარმომიდგენია, ერთი ოპოზიციონერის შემყურე, ეს რა დღეში იქნებაო.

– კი მაგრამ, ნათელაშვილი სადა ყოფილა?

– ბუშსაც მოუკითხავს, ახლოს ვიცნობ და გული მწყდება, რომ ვერ ვნახეო.

– მერე?

– მოუძებნიათ და სასტუმრო „ივერიასთან" უპოვიათ.

– იქ რას აკეთებდა?

– თურმე სააკაშვილის კარიკატურებს ამზადებდა და ბუშის შესახვედრად ვეღარ მოიცალა.

– მიტინგზე რომ არ გამოუტანია?

– რას გამოიტანდა, სოროსს დიდი ფული შეუთავაზებია და მთელი პარტია იმისთვის მიუყიდია.

– უყურე შენ, – შეიცხადა თეთრლაბადიანმა, – შალვაც ფულის კეთებაზე არ გადასულა...

**ოთარ ხუციშვილი.**

⊙ ყურადღება!

## ჟურნალ „ცენტრალნაია აზიისა და კავკაზის" (სოციალურ-პოლიტიკურ კვლევათა ცენტრი, შვედეთი) მკითხველებს

**ჟურნალ „ცენტრალნაია აზიისა და კავკაზის" (სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან პროფესორები გიული ალასანია და ვლადიმერ პაპავა) წარმომადგენელი საქართველოში ჟურნალის ყველა მკითხველს სთხოვს (ვინც აქამდეც უფასოდ იღებდა აღნიშნულ ჟურნალს), 2005 წლის მე-2 ნომრის მისაღებად მოაკითხოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ბიბლიოთეკას. ამ ნომერში გამოქვეყნებულია ქართველი ავტორების თ. ფანჯიკიძის, ვ. დოლიძის, ე. გახოკიძის, მ. კომახიას სტატიები.**

**ჟურნალში სათანამშრომლოდ საჰონორარო ანაზღაურებით ვიწვევთ აგრეთვე კვალიფიციურ ავტორებს.**

**ტელ: 99-93-03.**






მეუღლე დონარა ედიშერაშვილი, შვილები გელა, თემური, დები ლედი, ციალა, შვილიშვილები ბექა, სალომე, ეკა კოკაიები, დისწულები ხათუნა, ფრიდონი, მალხაზი, ელგუჯა, მაია, რძლები, ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურამ ივანეს ძე კოკაია

პანაშვიდი 15, 16 V, 17 სთ. გასვენება 17 V, 15 სთ. თბილისი, დიღმის მასივი, II კვარტალი, მე-14 კორპ. II სად.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ვილენ მარდალეიშვილი.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK